# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი 19 დეკემბერი 1998 №233 (768) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოში დრო ც ლარ-დოლარის კურსივით მერყეობს

## გუშინ ვერის ბაღში ერთი წუთი დაახლოებით 90 წამამდე გაიზარდა

## ქართული დროის კურსის ცვლამ ამერიკული შედეგი მოგვიტანა: სტუ 109:137 აზოტი



UNION OLIMPIJA

## ოლიმპიას ისევ სტეფანიამ უშველა

ვლადიმერ სტეფანიას „ოლიმპიამ" პირველ ადგილზე დაასრულა ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი და სამეორეეტაპოდ შედარებით სუსტ მეტოქეებთან პაექრობის საშუალება მიეცა. „ოლიმპიას" აგერ უკვე მერამდენედ უშველა ქართველმა, რომელმაც ამის თაობაზე ეს გვითხრა:

— პირველი ადგილის დასაკავებლად წაგებაც შეგვეძლო, ოღონდ, მაქსიმუმ, 9 ქულით, რადგან „ვილერბანს" პირველ წრეში 10 ქულით მოვუგეთ. მატჩის დამთავრებამდე ორიოდ წამი რჩებოდა, 11 ქულას ვაგებდით. ჩვენებმა ისროლეს, მაგრამ ააცილეს. ფარისკენ გავიწიე, ბურთი მოვხსენი და კალათში ჩავუშვი. დროც ამოიწურა...

**— ამ შემთხვევამ „ოლიმპიას" მწვრთნელ ზმაგო საგადინს შენსკენ ხომ არ მოუბრუნა გული?**

— არა მგონია, თანაც მატჩი წავაგეთ. პირველ ადგილზე გასვლა პრესტიჟის საქმე კი იყო, მაგრამ, პრაქტიკულად, პირველები ვიქნებოდით თუ მეორენი, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

**— მეორე ეტაპზე სუსტი მეტოქეები გელოდებათ...**

— თუკი „ულქერს", „ზადარს" და „ალბას" სუსტ გუნდებად ჩავთვლით, მაშინ ასე იქნება. მეორე ეტაპზე მხოლოდ ამათ შევხვდებით ორ-ორჯერ. მთავარია, ახალ ჯგუფში მეოთხე ადგილზე მაინც გავიდეთ, რათა მერვედფინალში გავაღწიოთ. ამას რომ შევძლებთ, დარწმუნებული ვარ. საქმე ისაა, ახალ ჯგუფში რომელ ადგილს დავიკავებთ — რაც უფრო მაღლა ხარ ცხრილში, მით უფრო სუსტი გუნდი შეგხვდება.

კახა ხურციძე



[illegible] ფოტო

სტუ — აზოტი. მეტოქეთაგან საუკეთესოების: სტუ-ელი ნიკო ჩერქეზიშვილის (9) და რუსთაველი ირაკლი ჯაფარიძის დუელი

## ნახევარფინალისტები ზამთარშივე გამოვლინდებიან

საქართველოს ეროვნული ნაკრები მარტში სამ შეხვედრას გამართავს. 10-სა და 20-ში ჩვენებურები რუმინელებს და უკრაინელებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. 27 მარტს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩში ვლადიმერ გუცაევის შეგირდები სლოვენიის ეროვნულ ნაკრებს დაუხვდებიან.

ფედერაციამ გაითვალისწინა ნაკრების ხელმძღვანელობის აზრი და გადაწყვიტა, ჩემპიონატის მეორე წრე, ასევე თასის გათამაშების მომდევნო ეტაპი ადრიანად დაიწყოს. უახლოეს დღეებში დადგინდება სეზონის განახლების თარიღი. მანამდე კი, 20 და 24 თებერვალს, თასის მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება.

ხვიჩა სანიკიძე

## ძოძუაშვილი პირველი ქართველი

ასეა, შეკრებს ლატვიის ნაკრების მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი შეგირდებს, ისინიც ამხანაგურად ვილაც-ვილაცეებს გაეჯიბრებიან, სამარცხვინოდ წააგებენ, ოფიციალურ მეტოქეებს რას აღარ აფიქრებინებენ. მერე მოვა შესარჩევი ტურნირის დრო და... ჯგუფის ლიდერებად მოგვევლინებიან. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო, რა მოხდება გაზაფხულზე აწი გამოჩნდება. იქამდე კი ძოძუაშვილი ერთხელაც, ხვალ დაუძახებს 18 ლატვიელ ფეხბურთელს და კანარის კუნძულებს ესტუმრება, იქაურ კლუბთა ნაკრებთან ერთხელაც რომ გამოსცადოს ფეხბურთელები. მატჩი სამშაბათს, 22 დეკემბერს გაიმართება. ლატვიის ნაკრები კანარებს უძლიერესი შემადგენლობით ვერ ჩავა, რადგან რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი შვებულებაშია და ძოძუაშვილმა მათი გამოძახებისგან თავი შეიკავა. თუმცა ისინიც ითამაშებენ, ვინც ქართველები და ნორვეგიელები დაამარცხეს. მათი ქართველი თავკაცი რევაზ ძოძუაშვილი კი ორიოდ დღის წინ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. ძოძუაშვილი პირველი ჩვენებურია, ვისაც უცხო ქვეყანაში ასეთი პატივი ერგო.

კობა ინასარიძე

## ბიშოვეცი მოხსნეს

ანატოლი ბიშოვეცი რუსეთის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან მოხსნეს. ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა დაასკვნა, რომ მას ღირებული სტრატეგია და პროგრამა არ ჰქონდა.

52 წლის ბიშოვეცი კრემლის მხარდაჭერით, წლეულს, 23 ივლისს დაინიშნა თანამდებობაზე, მაგრამ კრემლს იმედი გაუცრუვდა, რუსეთის ეროვნულმა გუნდმა ბიშოვეცის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექვსივე შეხვედრა წააგო. ბოლოს რუსები ბრაზილიაში დამარცხდნენ 1:5.

„ნაკრებმა ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში ზედიზედ წააგო უკრაინასთან, საფრანგეთთან და ისლანდიასთან" — განმარტა ბიშოვეცის მოხსნის მიზეზი საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა. მისივე განცხადებით კავშირის აღმასკომის 14-მა წევრმა ბიშოვეცის მოხსნას დაუჭირა მხარი, საპირისპირო აზრისა კი მხოლოდ სამნი იყვნენ.

„მათ არც კი მითხრეს, რომ მწვრთნელის მოხსნის საკითხს უყრიდნენ კენჭს. დაახლოებით ერთი საათი კორიდორში გავატარე და მხოლოდ შემდეგ შევიტყვე, რომ ბიშოვეცი თანამდებობიდან გადაუყენებიათ" — დასძინა როდიონოვმა.



СПОРТ ЭКСПРЕСС

23 ივლისს ვიაჩესლავ კოლოსკოვს ანატოლი ბიშოვეცის იმედი ჰქონდა

ცოტა ხნის წინ თავად ბიშოვეცმა განაცხადა, რომ აღარ სურს თანამდებობაზე დარჩენა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა აზრი შეეცვალა, რადგან თავად რუსეთის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა უწოდა დიდი მწვრთნელი.

საგულისხმოა, რომ რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ვიაჩესლავ კოლოსკოვის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტად არჩევიდან ათ დღეში მოხსნეს.

საქართველოს ჩემპიონატი

## 9 ტური

17 დეკემბერი. ხუთშაბათი

**შევარდენი 91:93 სდასუ**

**მაკაბი 96:86 დინამო**

18 დეკემბერი. პარასკევი

**სტუ 109:137 აზოტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 7 | 7 | 0 | 698:594 | 14 |
| სტუ | 7 | 6 | 1 | 682:616 | 13 |
| თსუ | 7 | 5 | 2 | 630:586 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 4 | 601:613 | 10 |
| სდასუ | 7 | 3 | 4 | 565:598 | 10 |
| შევარდენი | 7 | 2 | 5 | 588:606 | 9 |
| მაკაბი | 7 | 1 | 6 | 577:617 | 8 |
| კოლხა | 7 | 1 | 6 | 541:652 | 8 |

იხილეთ მერვე გვერდი

ძნელად თუ ნახავ ფეხბურთელს, თავის უარყოფით მხარეზე გულღიად და ზედმიწევნით შეეძლოს საუბარი. მამუკა ქორიძეს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბჭოური პირველობები ზონებად იყო დაყოფილი, ნიჭიერ და პერსპექტიულ მეკარედ მიიჩნევდნენ. სკოლა დაამთავრა თუ არა, მალევე მიაღწია წარმატებებს და სანუკვარ გუნდში — თბილისის „დინამოში“ მოხვდა. თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერებულა, შემდეგ იყო ქუთაისის „ტორპედო“, რუსთავის „გორდა“, სოჭის „ჟემჩუჟინა“, ისევ რუსთავი... ყოველთვის რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ქორიძე თავის შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ავლენდა, თითქოს რაღაც უშლიდა ხელს. „სარბიელის“ ვერსიით პირველი წრის საუკეთესო მეკარესთან საუბარი სწორედ ამით დავიწყეთ.

## მამუკა ქორიძე:

# ასეთი ფეხბურთის არ მწამს


მამუკა ქორიძე

— ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ ნიჭიერი ვიყავი, მაგრამ ამას ყურადღებას არასდროს ვაქცევდი. ბევრს, ალბათ, მოლოდინიც გავუცრუე, ამას კი თავისი მიზეზები აქვს. მშვენივრად მესმის, რომ მარტო ფეხბურთის უზომო სიყვარული არაფერს ნიშნავს. როდესაც ფეხბურთელი ხარ, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გაგაჩნდეს და საქმესაც მონდომებით, სერიოზულად მიუდგე. მე კი თითქოს ზერელედ ვეკიდებოდი ჩემს მოვალეობას, ვზარმაცობდი. ახლა რომ ვუფიქრდები, ამის გამო ბევრი დავკარგე. არადა, რამდენის მიღწევა შემეძლო...

**— ბევრჯერ გამიგია, ქორიძე ხშირად უვარჯიშებელი თამაშობსო.**

— გეთანხმებით, ასეც ყოფილა. შორს არ წავალ, წლევანდელ სეზონში სხვადასხვა მიზეზის გამო ბევრჯერ გამიკეთებია მსგავსი რამ, მაგრამ დღეს ისეთი სიტუაციაა...

**— დღევანდელობით გულგატეხილი ჩანხართ.**

— დღეს საქართველოში ფეხბურთელობა ძალიან ძნელია. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე რუსთავის „გორდაში“ ვთამაშობ, ჩვენი ქვეყნის ერთ ჩვეულებრივ გუნდში, იქ კი ფეხბურთელის ფუნქციას მარტო ბურთის გორება არ წარმოადგენს. სწორად გამიგეთ, მე დღეს პროფესიონალი არ ვარ. ფეხბურთს კი არ ვთამაშობ, ვმუშაობ, რათა ოჯახი შევინახო, ხელფასი მივიღო. ადრე საქმე სულ სხვაგვარად იყო. თამაშის გარდა არაფერზე ფიქრი არ გვიწევდა. მახსოვს, სეზონი რომ დამთავრდებოდა, ქალაქის ხელმძღვანელობა შეხვედრას გვიწყობდა, სამომავლო გეგმებს გვისახავდა, დახმარებაზე აღარაფერს ვამბობ. დღეს კი...

**— შენი თაობის ბევრი ფეხბურთელის მსგავსად, ბევრჯერ გქონია უცხოეთში, თუნდაც რუსეთში წასვლის შესაძლებლობა. ერთი ხანობა სოჭის „ჟემჩუჟინაშიც“ იყავი, მაგრამ კლუბს მალევე დაშორდი. რა იყო ამის მიზეზი?**

— მაშინ მართლაც ყველაფერი კარგად დაიწყო. სოჭელებთან ხანგრძლივვადიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი, ანაზღაურებაც ნორმალური მქონდა, თუმცა მასპინძლებმა სიტყვა გატეხეს. კონტრაქტის პირობებით კლუბს ჩემთვის ავტომანქანა და საცხოვრებელი ბინა უნდა გამოეყო. ანგარებიანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. სოჭელებმა საცხოვრებლად ერთოთახიანი სარდაფის მაგვარი ბინა გამომიყვეს, იქ კი მეუღლესთან და ბავშვთან ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო. ამის თაობაზე კლუბის პრეზიდენტს მივმართე, თუმცა უშედეგოდ. იძულებული გავხდი, კონტრაქტი დამერღვია და სოჭიდან წამოვსულიყავი. ამის გამო ბევრი ვიწვალე. განთავისუფლების ფურცელი მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ მივიღე და იმ პერიოდში ფეხბურთს იძულებით ჩამოშორებული ვიყავი.

**— ისევ შენს ამჟამინდელ კლუბს, „გორდას“ დავუბრუნდები. სეზონის წინ თითქოს სოლიდურად გამოიყურებოდით, კარგი შევსებაც მიიღეთ, დაპირებებიც ისეთი იყო, რომ...**

— სწორედ ამ დაპირებებმა დაგვღუპა. ჩემპიონატის დაწყებამდე ფეხბურთზე ხელი ჩაქნეული მქონდა. შემდეგ რუსეთიდან ვალერი კილასონია დაბრუნდა, სანდრო ბურნაძემაც „გორდაში“ გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება, კახა ალადაშვილმაც უარი თქვა უცხოურ ვარიანტზე. მათ შემხედვარეს მეც გული მომიბრუნდა, თანაც კლუბის პრეზიდენტი გვაიმედებდა, ყველაფერი რიგზე იქნებაო. საქმის სიყვარულმა მაინც თავისი გააკეთა და მეც დავრჩი. დღეს კი ხედავთ, კლუბში რა მდგომარეობაცაა.

**— ამბობენ, „გორდა“ დაშლის პირასააო.**

— მოდით, ასე ვთქვათ. დღეს რუსთავში ფეხბურთი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, სერიოზულად ამას არავინ უყურებს. „გორდა“ რომ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს, ეს მთლიანად ენთუზიასტების, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ხალხის დამსახურებაა. მთელი წელია, გუნდში ხელფასები არ დარიგებულა, პრემიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გემახსოვრებათ, კრასნოდარის „კუბანი“ კილასონიას იჯარის სანაცვლოდ 5000 დოლარს ითხოვდა. მაშინ „გორდას“ ხელმძღვანელობა იქადნებოდა, ამ ფულს აუცილებლად გადავიხდით და კილასონიაც ჩვენთან ითამაშებსო. ჯერჯერობით ვარლამი ისევ კლუბშია. როგორ გგონიათ, ვისი დამსახურებაა ეს? მხოლოდ და მხოლოდ მისი, ის ფული თვითონ გადაიხადა, საკუთარი ჯიბიდან... დღეს კი გამოდიან და გაჰყვირიან, რომ ხელფასებს არიგებენ, თითქოს მერიას კლუბისთვის ათი ათასი ლარი აქვს გამოყოფილი. ეს სისულელეა. ვიმეორებ, ჩვენამდე ფული არ მოსულა, ხელფასები გასასტუმრებელია, არადა, მოთამაშეთა უმეტესობა დაოჯახებულია, ოჯახს კი რჩენა უნდა. გუნდი მართლაც დაშლის პირასაა მისული, ყოველ შემთხვევაში, წამყვანი მოთამაშეები, ფაქტობრივად, ახალ კონტრაქტებს აფორმებენ სხვა კლუბებთან. ასეთი ფეხბურთი არ მწამს.

**— პირველ წრეში გუნდის თამაშს როგორ შეაფასებდი?**

— ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, მართლაც კარგი შედეგი გვქონდა. თუნდაც ის ფაქტია მრავლისმეტყველი რომ ლიდერებთან მეტ-ნაკლებად ალმავლობით ვითამაშეთ. როცა ყოვედლიური პრობლემებით დატვირთული ფეხბურთელი მოედანზე გადის, უკეთეს შედეგზე ლაპარაკი ზედმეტია. უამრავი საწუხარი გვაქვს, რაც ისევ და ისევ ხელმოკლეობას უკავშირდება. თუ მიაქციეთ ყურადღება, პირველი წრის ყველა შეხვედრა გუნდმა ერთი და იმავე ფორმით — წითელი მაისურებით ჩაატარა. რატომ? იმიტომ, რომ სხვა არც გვაქვს. ჩვენი მინდვრის „მადლი“ ყველამ იცის, „ფოლადის“ საფარს საფეხბურთოს ძნელად თუ დაარქმევ, ეს კი ჩემზე საშინლად მოქმედებს. არც მიფიქრია, თუ რას გადავწყვეტ მეორე წრის დაწყებამდე. ერთი რამის თქმა შემიძლია, თუ რუსთავში ფეხბურთისადმი ამგვარი მიდგომა გაგრძელდა, თუ „გორდამ“ მეორე წრეში საერთოდ შეძლო ჩემპიონატში მონაწილეობა, უთუოდ გავარდება პირველი ჯგუფიდან, შემდეგ კი მართლაც წერტილი დაესმება რუსთავულ ფეხბურთს. სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითი ბევრი გვაქვს.

**— ქართული ფეხბურთის კრიზისზე დღეს ბევრი ლაპარაკობს.**

— ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება გამოსავლის პოვნა. ყრილობის შემდეგ იმედი მქონდა, რომ ფედერაციის შემადგენლობის შეცვლით მდგომარეობა გამოსწორდებოდა. ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა შეძლოს „გორდას“ დარმა გუნდმა (ასეთები კი ჩვენში მრავლად არიან) ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო 200 000 დოლარის მოძიება. ეს ხომ უზარმაზარი თანხაა, კლუბის პრეზიდენტებს კი 5000 ლარის შოვნაც არ შეუძლიათ ხელფასების გასასტუმრებლად. კი, ბატონო, ვერ მოაგროვა რუსთავმა ეს ფული და დარჩა ჩემპიონატის მიღმა, რა შეემატება ამით ქართულ ფეხბურთს? ვფიქრობ, არაფერი.

**— მამუკა, „სარბიელის“ სიმბოლურ ნაკრებში შენი ამპლუის მოთამაშეებიდან ყველაზე ხშირად ხვდებოდი...**

— ალბათ, იმიტომ, რომ როდესაც გუნდს მეტ-ნაკლებად ცუდი შედეგი აქვს, მეკარის კარგი თამაში უფრო თვალსაჩინოა. თავის ქებად ნუ ჩამითვლით და პირველ წრეში ხშირად კმაყოფილიც კი დავრჩენილვარ ჩემი თამაშით. მოხარული ვარ, რომ ჩემი მონდომება დაინახეს. ფეხბურთელისთვის ხომ მთავარი ეს არის. იგი ყოველთვის გულშემატკივრისთვის თამაშობს.

**პაატა ძვანტალიანი**

# ბიჭებს დაგვიხედეთ?!



ლევან ხომერიკმა ეროვნულ ჩემპიონატს საბოლოოდ აქცია ზურგი

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ბელგიის მესამე ლიგაში გადაბარგების შესახებ. „რასინგ მეხელენში“, რომლის კონსულტანტადაც დავით ყიფიანი მოგვევლინა, სამი ჩვენებური — ლევან ხომერიკი, გიორგი კიკნაძე და ლევან ცქიტიშვილი თამაშობს. ქართველმა ფეხბურთელებმა ჩასვლის შემდგომ სამ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა და „რასინგ მეხელენმა“ სამთავეში გაიმარჯვა. ბელგიური კლუბის მესვეურები დინამოელთა ბურთაობით კმაყოფილი დარჩენილან. ქართველები საცხოვრებელი პირობებითაც დაუკმაყოფილებიათ, თუმცა ამას ვინ ჩივის, „რასინგ მეხელენის“ ხელმძღვანელობას ჩვენებურებთან დაკავშირებით შორს მიმავალი მიზნებიც გასჩენიათ და მათთვის ხანგძლივი კონტრაქტების გაფორმება შეუთავაზებიათ (ადრე მხოლოდ ექვსთვიან ვადაზე იყო საუბარი).

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, გიორგი კიკნაძემ და ლევან ცქიტიშვილმა თავაზიანად იუარეს გრძელვადიანი ხელშეკრულების დადება, რაც შეეხება ლევან ხომერიკს, მას ორჭოფობა დაუწყია და არაა გამორიცხული, ბელგიელების წინადადებას დათანხმდეს.

ახლა თვით „რასინგ მეხელენზეც“ ვთქვათ. გუნდმა საკმაოდ მოუმატა სათამაშო დონეს და დღეისათვის მეორე ადგილზე იმყოფება. ყოფილი დინამოელებით გაძლიერებულებს გათამაშების ერთპიროვნული ლიდერიც დაუმარცხებიათ და მასთან ქულათა სხვაობაც საგრძნობლად შეუმცირებიათ.

ქართველი ფეხბურთელები ერთ კვირაში სამშობლოში დაბრუნდებიან და მათი ბელგიური ამბების შესახებ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# რემონტია საჭირო

## იამანიძიდან ჭავჭავაძემდე

**გუშინ** დილით სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ჟენევას გაფრინდნენ. ჩვენი ფეხბურთის მესვეურთა შვეიცარიაში ვიზიტის შესახებ ბევრს ვერს მოგახსენებთ, ფეხბურთის ფედერაციაში ამასთან დაკავშირებით არსებითი ვერაფერი გვითხრეს — საქმის კურსში არა ვართო.

ერთი რამ კი ცხადია, ჩივაძის და ჩოლარიას თბილისში დაბრუნებას ყველაზე მეტად ფედერაციის თამაშრომლები ელიან — კუთვნილი გასამრჯელოს დააგვიანდა და იმედოვნებენ, რომ წლის ბოლომდე სამი თვის ხელფასს მიიღებენ.

და კიდევ, ამ კვირაში ფედერაციის შენობა თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა დატოვა და სპორტის დეპარტამენტში გადაბარგდა. არ გეგონოთ, ისინი სამუშაოს იცვლიდნენ, უბრალოდ, მათი გადაადგილება ფედერაციის შენობის რემონტით არის გამოწვეული.

დანარჩენები სამშაბათს შეაღებენ ახალი ოთახების კარებს, იამანიძის №5-ში კი მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტი საშა ჩივაძე და ნაკრებთა მესვეურნი დარჩებიან.

**პაატა ძვანტალიანი**

# უცნობი მესამე

**როგორც** ვლადიკავკაზის „ალანიას“ მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა გვითხრა, კიევის „დინამო“ გიორგი დემეტრაძით ძალიან სერიოზულად დაინტერესებულა.

— რამდენიმე დღის წინ კიევიდან დამიკავშირდნენ და საქმის კურსში ჩამაყენეს, დემეტრაძის შეძენა გვსურსო. თუმცა დემეტრაძის ტრანსფერზე ლაპარაკი ადრეა, გუნდი შვებულებაშია, ყველა ისვენებს. უახლოეს მომავალში შევიკრიბებით და ვნახოთ, დემეტრაძე კონტრაქტით ჩვენ გვეკუთვნის — თქვა გაზაევმა, რომელიც მამუკა წერეთელზეც იგივე აზრისაა — ყველა კლუბი, რომელიც წერეთელის გადაბირებას მოისურვებს, ჯერ ჩვენ დაგვიკავშირდეს და საკითხებში ჩვენთან გაარკვიოსო.

– ვლადიკავკაზის „ალანიას“ ერთი ქართველი ფეხბურთელით გამდიდრებაც მოუსურვებია, რომელიც ახალ კლუბს მალე შეუერთდება. გაზაევმა ფეხბურთელის გვარის დასახელებისაგან თავი შეიკავა, მხოლოდ თქვა, საქართველოში თამაშობსო.

**ქობა ინასარიძე**


ვალერი გაზაევი

# მუმუს ფორტუნა და იუვე სწყალობენ?

*ჯერ სულ ახალი, მაგრამ უკვე პოპულარული სატელევიზიო შოუ „ფორტუნა“ ქართულ სპორტსაც გადასწვდა და წინა კვირას მის სტუდიაში დავით მუჯირიც ვიხილეთ მეუღლესთან ერთად. გართობა გართობად, აზარტიც აზარტად, მაგრამ იმ სასიამოვნო შოუდან ერთი რამ დამამახსოვრდა სხვაზე მეტად: როცა მუმუს უცხოეთში სათამაშოდ წასვლაზე ჰკითხეს, აუცილებლად წავალო, უპასუხა. ეს დღეებია, სპორტულ პრესაში მუჯირის გვარი ხშირად გაისმის იტალიურ კლუბებთან კავშირში და „სარბიელმაც“ გადაწყვიტა, თავად ფეხბურთელებთან საუბარში დაეზუსტებინა ყველაფერი. ვის-ვის და დავით მუჯირს თავაზიანობასა და ენაწყლიანობაში წუნს ვერავინ დასდებს... არც ამჯერად დაგვზარდა. ჩვენი საუბარი არამარტო იტალიას, ბევრ სხვა რამესაც შეეხო:*



დავით მუჯირს უბურთოდ და უფეხბურთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია

[illegible] ფოტო

— ქართველი ფეხბურთელებივით, უფრო ზუსტად, გუცაევის ახალგაზრდული ნაკრების წევრებით, იტალიელები ჯერ კიდევ რუსთაველი მატჩის მერე დაინტერესებულან, მას შემდეგ, რაც იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს მოვუგეთ. რამდენადაც ვიცი, იმ შეხვედრის მერე ყველგან გვაკვირდებოდნენ — ნაკრებშიც, ევროტურნირებზეც. რაც შეხება ბოლოდროინდელ ამბებს, მეც თქვენსავით სხვებისგან გავიგე, რომ ოთხი საშუალო იტალიური კლუბია დაინტერესებული რამდენიმე ქართველი ფეხბურთელით, თუმცა ჩვენამდე არც ერთი მათგანის ხალხი არ მოსულა.

**— მაშ, ეს ყველაფერი საფუძველსაა მოკლებული?**

— მე ვამბობ, რომ გუნდებიდან სერიოზული და კონკრეტული წინადადება ჯერ არ წამოსულა.

**— და მაინც, ამჟამად იტალიაში მყოფი მერაბ ჟორდანია მუჯირის თაობაზე ვილაც-ვილაცეებს უნდა შეხვდესო...**

— გულახდილად გეტყვით, ახალ წლამდე არ მინდოდა ამ საკითხზე ლაპარაკი, მაგრამ როგორღაც არ გამომივიდა. საქმე იმაშია, რომ მერაბ ჟორდანია „იუვენტუსის“ მესვეურებს უნდა მოელაპარაკოს ჩემი ტრანსფერის თაობაზე. მოგიყვებით ყველაფერს დაწვრილებით: იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ დაინტერესდნენ, თვეების მანძილზე თვალი უდევნებიათ და წლეულს ზაფხულში ჩემამდეც მოვიდნენ. ევროტურნირების შემდეგ „იუვეს“ სელექციონერები ერთხელაც შემეხმიანნენ. ეს ათენში მოხდა, საბერძნეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის შემდეგ. ეს ის პერიოდი იყო, როცა იტალიაში ტრანსფერები დახურულია და მაშინ მოლაპარაკებები შეჩერდა. პირველი წრე ჩავამთავრე თუ არა, თბილისში ჩამოვიდა რეზო ჭოხონელიძე, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას ჩემს თაობაზე და მითხრა, რომ უკვე შეიძლება „იუვენტუსთან“ ხელშეკრულების დადებაზე საუბარი. ხუთი იანვრიდან იტალიაში სატრანსფერო სეზონი შედის ძალაში და მერაბ ჟორდანიას ვიზიტიც მას ზუსტად ემთხვევა, რაც ძალიან სასიხარულოა ჩემთვის. ტრანსფერზე წინასწარ აბა, რა უნდა გელაპარაკოთ, მაგრამ ერთადერთი, რამაც ხელშეკრულების დადებას შეიძლება ხელი შეუშალოს, არის ის, რომ მე „დინამოს“ საკუთრება ვარ...

**— არა მგონია, „დინამომ“ ხელი შეუშალოს ფეხბურთელს, რომელიც „იუვენტუსში“ მიდის. რაიმე სხვა მიზეზი ხომ არ გაფერხებს?**

— არავითარი. ერთადერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ „იუვენტუსის“ მხარე გამორიცხავს ყოველგვარ სტაჟირებას, ანაც იჯარით ფეხბურთელის აყვანას. „დინამო“ კი, როგორც იცით, ეცდება „იუვენტუსში“ მოხვედრის შემდეგაც ჰქონდეს ჩემზე გარკვეული უფლებები. თავის მხრივ, „იუვენტუსი“ ყიდულობს ფეხბურთელებს, რომლებზედაც უფლება მხოლოდ მას აქვს. ეს არის და ეს. ჩემს ტრანსფერს სხვა არაფერი უდგას წინ.

**— რობერტო ლანდიმ თუ შეგაწია სიტყვა?**

— კი, დამეხმარა. მანამდე, სანამ რაიმე კონკრეტული ვარიანტი გამოჩნდებოდა, სწორედ ლანდიმ მითხრა, რომ ჩემით იტალიური კლუბები არიან დაინტერესებული. მასაც ჰკითხავდნენ რაღაცას.

**— დათო, მას შემდეგ, რაც „სარბიელში“ შენი წინა ინტერვიუ დაიბეჭდა, კარგა ხანი გავიდა. რა და როგორ შეიცვალა დავით მუჯირის ცხოვრებაში იმ ინტერვიუს მერე?**

— ბევრი რამ. პირველად იმას გეტყვით, რომ დავოჯახდი. ამან კი ბევრი რამე სხვანაირად დამანახა. ასე მგონია, შევიცვალე პიროვნულადაც. ჩემს საქმეს, ფეხბურთელობას რაც შეეხება, გაცილებით სერიოზულად და პროფესიულად ვუდგები. ისე არ გამიგოთ, თითქოს მანამდე ვეკიდებოდი საქმეს ზერელედ, არა, მე ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში გავაკეთე არჩევანი — ფეხბურთს და სწავლას შორის. ვიყავი კარგი მოსწავლე და მინდოდა, გავმხდარიყავი კარგი ფეხბურთელი. ორივე ერთდროულად კი არ გამომივიდოდა. და რადგანაც უფეხბურთოდ ცხოვრება არ შემეძლო, ფეხბურთელობისკენ გადავიხარე. იმას არ ვამბობ, რომ სწავლა მივატოვე, მაგრამ უფრო მეტი დრო და ყურადღება ფეხბურთს მიჰქონდა. ვფიქრობ, მართალიც ვიყავი, როდესაც არჩევანს ვაკეთებდი. კაცმა ის საქმე უნდა აკეთოს, რისი ნიჭიც აქვს და რაც უკეთ გამოუვა.

**— და ძალიან ბევრს გართმევს ფეხბურთი?**

— თვითონ განსაჯეთ, ნიშნობის მეორე დღესვე შეკრებაზე მომიწია წასვლა. არ გეგონოთ, მიკვირდეს. პროფესიონალი ფეხბურთელისთვის მიღებული და ჩვეულებრივი შემთხვევაა.

**— რაკი პროფესიონალიზმი ვახსენეთ, ერთ რამეს შეგეკითხები: როგორ გგონია, ბევრი დრო დჰკარგე? და თუ დჰკარგე, რა იყო ამის მიზეზი?**

— არც ერთი წუთი არაპროფესიონალიზმის, ანაც ზერელობის გამო არ დამიკარგავს. ჩემზე ამბობენ, გამძლეობა აკლია და მატჩის ბოლომდე ერთ დონეზე თამაში უჭირსო. ვინც ჩემი თამაში იცის და პატარობიდან თვალს მადევნებდა, იმასაც შეამჩნევდა, რამდენად მოვძლიერდი ფიზიკურად. მე ბუნებით სუსტი ორგანიზმი მქონდა, მერე გარდამავალ ასაკში წნევის ცვალებადობაც დამჩემდა, მაგრამ ახლა ყველაფერი უკან დარჩა და დღესდღეობით ძველთან შედარებაც არ შეიძლება.

**— იტალიურ ფეხბურთში გამძლეობაზე ალარც ლაპარაკობენ...**

— რა თქმა უნდა, იქ სულ სხვა ნორმებზეა საუბარი. მაგრამ, თუ ღმერთი შემეწია და კონტრაქტი გავაფორმე, ვიცი, რა და როგორ გავაკეთო. ფიზიკური სისუსტის კომპენსაციას სათამაშო უპირატესობით მივაღწევ. ვიფიქრე, მიფიქრია ამაზე...

**— ბევრი მწვრთნელისთვის მიკითხავს გუნდში სტანდარტული სიტუაციების შემსრულებელი ფეხბურთელების შესახებ. არა მარტო „დინამოში“, ნაკრებშიც საჯარიმოების ოსტატად ითვლები. ამაზე თუ მუშაობ?**

— ვმუშაობ, როგორ არა. ბუნებით ძლიერი დარტყმა მაქვს მომადლებული და ვცდილობ, ეს უპირატესობა გამოვიყენო. საერთოდ, ნებისმიერი ფეხბურთელი იმაზე მუშაობს, რაც უკეთ შეუძლია და რითაც სხვებისგან გამოირჩევა.

**— მოდი, „დინამო“ და პირველი წრე შევაფასოთ.**

— ამჟამად გუნდში გარდამავალი პერიოდია. მიდიან ფეხბურთელები, გუნდის შემადგენლობა საფუძვლიანად იცვლება და მოსალოდნელიც იყო, „დინამო“ ძველებურად ერთი თავით მაღლა რომ ვერ იდგა სხვებზე. თასიდან გამოვვარდით და „ბათუმს“, „გორდას“, „ლოკომოტივს“ ჩემპიონატშიც ვერ მოვუგეთ.

**— ამაზე გავლენა წამსვლელი ფეხბურთელების განწყობამ ხომ არ იქონია?**

— არა, არა. გარდამავალ პერიოდს დავაბრალოთ. წამსვლელი ფეხბურთელები, თვითონაც შეხედავდით, სხვებზე უკეთ თამაშობდნენ მთელი წრე.

**— „ლოკომოტივზე“ ცალკე უნდა გკითხო...**

— ეს არის გუნდი, რომელმაც იცის, რა შეუძლია და რა უნდა. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე სხვა გუნდებთან შედარებით, მათ დაცვის სიძლიერე გამოარჩევთ და სათამაშო ტაქტიკასაც თავიანთი ძლიერი მხარის გათვალისწინებით აგებენ. „ლოკომოტივს“ სამჯერ შევხვდით და სამჯერვე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მხოლოდ მატჩის 0:0 დასამთავრებლად თამაშობდნენ.

**— ცუდი მინდორი ვაკეში?**

— არა მგონია, ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა. აკი პაიჭაძეზეც ვერ მოვუგეთ რკინიგზელებს. ვიმეორებ, „ლოკომოტივი“ თამაშობდა, რათა „დინამოსთან“ 0:0 დაემთავრებინა და მერე პენალტებში ბედი ეცადა. გაუმართლათ.

**— მეტოქე გუნდებიდან და ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდი?**

— „ლოკომოტივს“, ქუთაისის „ტორპედოს“... „ლოკომოტივს“ იმიტომ, რომ დაცვის ორგანიზაცია ჰქონდათ კარგი, „ტორპედო“ კი კლასით სხვებზე აშკარად მაღლა იდგა, რადგან ამ გუნდში ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ. მოთამაშეებიდან დავით ჯანაშიას გამოვარჩევდი. მან კლუბშიც კარგად ითამაშა და დაამტკიცა, რომ ნაკრებშიც ბევრი შეუძლია.

**— ქართველ ჟურნალისტებს შორის ერთ-ერთი ფიქრიანი ფეხბურთელის სახელი გაქვს. უეჭველია, ეროვნული ჩემპიონატის შესახებაც გექნება შენი აზრი.**

— მერაბ ჟორდანიას სფფ-ს სათავეში მოსვლით ბევრი რამე შეიცვლება. მჯერა, რომ მალე დაეტყობა ჩვენს ფეხბურთს მისი ხელი. პირველ ჯგუფში მოთამაშე კლუბებს რომ 200 ათასი დოლარი მაინც უნდა ჰქონდეს ანგარიშზე, ამას კამათი უნდა? თუკი ასეთი მკვეთრი ნაბიჯები არ გადაიდგა, უბრალოდ, წლებს დავკარგავთ და მერე რაც არ უნდა დავარქვათ ამ წლებს — გარდამავალი პერიოდი, მოსამზადებელი დრო თუ სხვა რამე — უკან ვერ დავიბრუნებთ.

**— ფეხბურთი ფეხბურთად, მაგრამ მკითხველს მედლის მეორე მხარეც აინტერესებს, ვინ არის დავით მუჯირი ფეხბურთის გარეშე...**

— ფეხბურთის გარეშე დავით მუჯირი ვერ წარმომიდგენია. თუმცა ერთი სული მაქვს ხოლმე, როდის მოვა შვებულება. აი, ახლაც დეკემბერში ოცდღიანი დასვენება მიწევდა და მინდოდა, ისე გამეტარებინა, არც კი მეხსენებინა ფეხბურთი, მაგრამ არ გამოდის. აი, ამ დონემდე შემოიჭრა ფეხბურთი ჩემს ცხოვრებაში.

**— მარშან ევროტურნირებზე მეოცე ნომრით თამაშობდი, წლეულს მეხუთეს არჩევ. რას ნიშნავს შენთვის ხუთი ნომერი — ხუთიანი გიყვარს, თუ მამის პატივისცემის გამო ირჩევ მაისურს?**

— რომ იტყვიან, ერთი მეორეს არ უშლის. მეხუთე ნომერს იმიტომ ვირჩევ, რომ ბავშვობიდანვე პატივს ვცემდი ციფრ „5“-ს. არც მამის პატივისცემას გამოვრიცხავ, რა თქმა უნდა, ესეც არის. ადრე მეოცე ნომრად რომ გამოვდიოდი, ამასაც აქვს თავისი ახსნა — ახალგაზრდა ფეხბურთელის გუნდში მოსვლისას ბევრი რამე არც აქვს ასარჩევი, იგი ირჩევს იმ მაისურს, რომელიც თავისუფალია. მე რომ „დინამოში“ მივედი, თექვსმეტს ქვემოთ ყველა ნომერი დაკავებული იყო, მეც მეოცე ნომერი ავირჩიე.

**— „იუვენტუსშიც“ მეხუთე ნომერს აირჩევ?**

— დამაცადეთ, ჯერ მივიდე იქამდე...

**— დათო, ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ დაახლოებით როდის გვეცოდინება შენი და „იუვენტუსის“ ამბავი დაწვრილებით?**

— ხუთი იანვრისთვის გაირკვევა. როგორც უკვე გითხარით, სატრანსფერო სეზონი გაიხსნება იტალიაში და მოლაპარაკებაც, ალბათ, იმ დროისთვის დასრულდება. თუ შემეხმიანებით, ყველაფერს საბოლოოდ მაშინ გეტყვით.

**კონსტანტინე გოგიშვილი**




## ჩვეულებრივი

ცნობილი ამბავია, რომ კაცმა თავი არ უნდა გამოიშტეროს.

თუ გამოიშტერებ და იდიოტად გამოჩნდები.

ისეთ რამეზე არ უნდა გადაირიო და სხვაც არ უნდა გადარიო, რაც გადასარევი არ არის. გადაირევი და მოიმკი კიდეც. ეს ძველი სიბრძნეა, ფეხბურთს რომ არ თამაშობდნენ, მაშინდელი.

ქართველ ფეხბურთელთა მთელს წყებას კარგად არ ესმის, რომ გაზეთი მოკავშირედ უნდა ჰყავდეს. ამ „მოკავშირეობას“ მედია კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ თავად ფეხბურთელი.

ჯერჯერობით ამას მხოლოდ გაზეთი ცდილობს და ფეხბურთელს ჰგონია, რომ მასზე უნდა გადაირიონ. დღევანდელ მსოფლიო ფეხბურთში იმდენი რამეა გადასარევი, რომ კაცი თავს არ დაიღლიდა ფეხბურთელის ქედმაღლობაზე ლაპარაკით, მაგრამ რახან ქართველობა „ტვირთად“ და „წოდებად“ არის აღიარებული, ჟურნალისტებიც თავს გამოიშტერებენ ხოლმე და თუკი ფეხბურთელი ერთ ნაბიჯს გადადგამს, ათად, ასად და ათასად წარმოსახავენ.

ერთი კვირის წინ, „ნიუკასლის“ ფეხბურთელმა თემურ ქეცბაიამ სულ ყურმილი უხეთქა ჩვენი გაზეთის ჟურნალისტს. ამაში საკვირველი არაფერია. ქეცბაია მგრძნობიარე კაცია და მაისურიც კი გაუსვრია ტრიბუნებისკენ ინგლისსა და საქართველოში. პირველად სიხარულით გაშმაგებულს, მეორედ კი გამწარებულს.

საკვირველი ის არის, რომ თავს გამოვიშტერებთ ხოლმე.

ამ სვეტს ქეცბაიაზე კი არა, საკუთარ თავზე უფრო ვწერ. იმაზე, რომ თვალებს დახუჭავ და რაღაცეებს წარმოიდგენ. წელს ორი სვეტი შევადგინე ქეცბაიას შესახებ და თავისუფლად შემეძლო არცერთი არ დამეწერა. ყოველთვის მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ის გამორჩეული ფიგურაა ჩვენს დღევანდელ ფეხბურთში. თავისით, წვალებითა და შრომით მიაღწია ყველაფერს, რასაც მიაღწია. პირველ სვეტს „ქართველი უემბლიზე“ ერქვა. „ნიუკასლი“ თასის ფინალს ეთამაშებოდა „არსენალს“. მთლად დუპლეტი ხომ არა ვარ? იმას ხომ არ ვფიქრობდი, „ნიუკასლი“ მოიგებს-მეთქი, მაგრამ მაინც, ხომ იცით, „ჩვენიანი“ და ასე შე[illegible] ეს არ არის ჟურნალისტიკა და [illegible] არც ის არის ჟურნალისტიკა და პატიოსნება, რაც შემოდგომაზე მოვიმოქმედე. როცა ნიუკასლში გულიტი მოვიდა და ქეცბაიას ხედიხედ აყენებდა ძირითადში მეორე სვეტი შევადგინე — „STILL KETS“. თბილისში ყველა უყურებდა ამ თამაშებს და ქეცბაიას რომ ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, ყველამ იცის. მაინც დავწერე მუხტად მისაყვედურე კიდეც, მაგრამ მაგრად დავდექი — მეტი რა ქნას-მეთქი.

ჩემთვის არავის შეუკვეთავს ეს სვეტები. სიამაყით ვაცხადებ, რომ არ ვიცნობ არცერთ ქართველ ფეხბურთელს და მწვრთნელს.

არასდროს მდომებია მათი გაცნობა, მხარდაჭერა კი ყოველთვის. თავსაც ამიტომ გამოვიშტერებ ხოლმე.

გაზეთი ყოველთვის უკეთ იტყვის, ვიდრე ფეხბურთელი. მიზეზები ცნობილია.

ქეცბაიას პრობლემები აქვს ნაკრების უფროსობასთან, კარგახანია არ გამოჩენილა კლუბის ძირითადში და ცხადია, ეს პრობლემები თავად უნდა მოაგვაროს. ქართული ფეხბურთის სახელით ლაპარაკი ყველაზე იოლი რამ არის დედამიწის ზურგზე. წლებია ქეცბაიას ქებაში ამოგვხდა სული, იმიტომ რომ მართლა მოგვწონდა მისი სვლა. განა მხოლოდ ჩვენ? მთელს ქართულ მედიას.

კენი დალგლიში ლამის ჩვენი ერის მტრად გამოვაცხადეთ. გულიტს ალბათ ასე აღარ მოვექცევით.

რამდენიც არ უნდა იძახო „ხალვა, ხალვა“ პირი არ დაგიტკბება. რამდენიც არ უნდა იძახო „არაჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი“, „ჩვეულებრივი“ თავს არ დამალავს. ამასობაში ისიც გავიწყდება, რომ ამ „არაჩვეულებრივს“ სხვებთან ერთად შენც იგონებდი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერაა მკვლელი?

ესპანეთის პოლიციამ, როგორც ჩანს მიაგნო „რეალ სოსიედადის" გულშემატკივრის მკვლელის კვალს. დაპატიმრებულია ვინმე რიკარდო გერა, 23 წლის, მადრიდის „ატლეტიკოს" აგრესიულ ქომაგთა ჯგუფის წევრი.

ეს ის გერაა, რომელმაც 1996 წელს ერთ-ერთ ღამის კლუბში დანის ტრიალი ატეხა, რისთვისაც გასულ მაისში ორი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ნოემბერში საცდელად გაანთავისუფლეს.

ახლა გერას ბრალად 8 დეკემბერს, მადრიდის „ატლეტიკოსა" და „რეალ სოსიედადის" თასის თასის შეხვედრის წინ 28 წლის აიტორ საბალეტას მოკვლა და მისი მეგობარი გოგონას დაჭრა ედება.

# ნიცოლაც ეჭვმიტანილია

დილით, 8 საათსა და 35 წუთზე იტალიის ოლიმპიურ კომიტეტში მისულმა საფინანსო პოლიციის ოფიცერმა ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რაფაელე პანიოცის უწყება გადასცა. პანიოცი ეჭვმიტანილია.

25 წუთის შემდეგ საფინანსო პოლიციის ოფიცერი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში შევიდა. ოფიცერმა უწყება ორგანიზაციის პრეზიდენტს, ლუჩანო ნიცოლას გადასცა.

დოპინგ-სკანდალთან დაკავშირებული გამოძიება შორს წავიდა. პოლიციელები დიდმოხელეებს დაკითხვებზე იბარებენ.

„საქმემ უკვე შემაშფოთებელ საზღვრებს მიაღწია. თუმცა ჩემთან ველოსპორტის ფედერაციაში გამომჟღავნებული დარღვევების გამო მოვიდნენ" — აუხსნა ჟურნალისტებს რაფაელე პანიოციმ — „პირადად არაფერზე გახლავართ პასუხისმგებელი."

„სრულიად მშვიდად გახლავართ. საამისო მიზეზი ორია: პირველი ის, რომ წლების განმავლობაში დამიმტკიცებია ჩემი ღირსება და სერიოზულობა, მეორე კი ის, რომ იტალიური სამართლისა ბრმად მწამს" — განაცხადა ლუჩანო ნაცოლამ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ ადრე თუ გვიან პოლიცია მასაც მიაკითხავდა. ამაში ეჭვის შეტანა მას მერე აღარ შეიძლებოდა, რაც ოთხშაბათს, იტალიისა და მსოფლიოს ნაკრებების თამაშის დროს ბრალდება ნიცოლას წინამორბ ედს, ანტონიო მატარეზეს წაუყენეს. მატარეზესთან ერთად ავისმომასწავებელი უწყება ფედერაციის ანტისადოპინგო კომისიის ხელმძღვანელმა კარლო ტრანკილიმაც მიიღო.




შეგახსენებთ, რომ სკანდალთან დაკავშირებით რომში დაიხურა ლაბორატორია, რომელიც დოპინგ-ანალიზებს აკეთებდა, ხუთი თანამშრომელი კი სამსახურიდან გაუშვეს. გადადგა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მარიო პესკანტეც.

# კალიებს ჰეჯი მოათვინიერებს

შვეიცარიის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ციურიხის „გრასჰოპერს" ახალი თავკაცი დაუნიშნეს. „კალიებს" ამიერიდან როჯერ ჰეჯი გაწვრთნის ხუთშაბათ დილით კლუბის პრეზიდენტმა რომანო სპადარომ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო როლფ ფრინგერი დაითხოვა. თუმცა ციურიხელები უდამრიგებლოდ მხოლოდ რამდენიმე საათით დარჩნენ. უკვე საღამოს სპადარომ ახალი მწვრთნელის ვინაობა გაამხილა.

ფრინგერი „გრასჰოპერში" ზუსტად ერთი წლის წინ მივიდა. მაშინ მან ამ თანამდებობაზე ლონდონის „ტოტენჰემში" წასული კრისტიან გროსი შეცვალა. ფრინგერმა „კალიებს" ერთწლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონობა დაუბრუნა. ეს სეზონი კი გუნდმა ცუდად დაიწყო — პირველივე ტურში ლიგის დებიუტანტ „ანგ ბოისთან" 1:3 წააგო, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქულ „გალათასარაისთან" დამარცხდა. უეფას თასიდან კი ფრანგულმა „ბორდომ" გამოაძევა. შინაური ჩემპიონატის პირველი ეტაპი „გრასჰოპერმა" მეორე ადგილზე დაასრულა, რითაც „კალიების" პრეზიდენტი უკმაყოფილო დარჩა. „გუნდს აშკარად მეტი შეუძლია, სწორედ ამიტომ მოვიწვიეთ ფრინგერის ნაცვლად ჰეჯი. იმედია, იგი ჩვენს მოლოდინს გაამართლებს" — განაცხადა სპადარომ პრესკონფერენციის დასასრულს.

სხვათა შორის, ფრინგერის მსგავსად, ჰეჯიც ახლახან გაუშვეს კლუბიდან და ისიც იმავე მიზეზით. ჰეჯი 1996 წლიდან მოყოლებული „სენტ გალენს" თავკაცობდა, მაგრამ ხელმძღვანელობამ წლეულს ნაჩვენები შედეგების გამო დაითხოვა.

ასე რომ, ამიერიდან მიხეილ ყაველაშვილსა და, ალბათ, გიორგი ნემსაძესაც როჯერ ჰეჯის ხელმძღვანელობით მოუწევთ თამაში. გეხსომებათ, ნემსაძეს როლფ ფრინგერთან უთანხმოება ჰქონდა, რის გამოც პირველ ეტაპზე მის მიერ ჩატარებულ მატჩებს თითებზე დაითვლიდით, მაშინაც მწვრთნელმა ბოლო წუთებზე შეუშვა მინდორზე. ამიტომ იყო, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი კლუბის დატოვებას რომ აპირებდა. იმედია, გიას ახალი მწვრთნელი მაინც შეხედავს კარგი თვალით და ძირითად შემადგენლობაში თამაშსაც აღირსებს.

**ვანო ოქროპირიძე**



როჯერ ჰეჯი



როლფ ფრინგერი






სარბიელის არქივიდან

ანდრეი შევჩენკო (მარცხენა ფოტოზე) და სერგეი რებროვი კიევში რჩებიან

# ვაჭრობა დამთავრებულია

ხუმრობდნენ, კიევის „დინამოს" აბრა აქვს გამოკრული, რომელზეც დიდ ასოებით „იყიდება" აწერიაო. ახლა აღარავინ იყიდება — „დინამო" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალშია და მადრიდის „რეალთან" სათამაშოდ ემზადება.

გასული სეზონი ფრიად უცნაური გახლდათ. ვინ წარმოიდგენდა, რომ გუნდი, რომელიც 1995 წელს მსაჯის მოქრთამვისთვის დისკვალიფიკაციით დასაჯეს, დაბრუნდებოდა და სულ ცოტა ხანში დასავლეთ ევროპულ გრანდებს დააფრთხობდა.

„იყიდება"! ამ სიტყვის გაგონებაზე თვალწინ ყველას, უპირველეს ყოვლისა, 22 წლის ანდრეი შევჩენკო წარმოუდგება. „ბებერი კონტინენტი" ბარსელონას „კამპ ნოუდან" გაანათა შევჩენკოს ჰეთ-თრიკმა. ეს მოხდა ერთი წლის წინ, ხოლო წლეულს, აგვისტოში, როდესაც კიეველები და პრაღის „სპარტას" მოთამაშეები ერთმანეთს პენალტებს ურტყამდნენ, (რათა გაერკვიათ ვინ უნდა შესულიყო ლიგაში), ევროპაში ხმა დადიოდა, რომ შევჩენკო და სერგეი რებროვი ახალი წლის შემდეგ იტალიაში გადავიდოდნენ.

მაგრამ კიევმა „არსენალი", „პანათინაიკოსი" და „ლანსი" დაამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბენფიკაში" გაყიდული ოლეგ ლუჟნის და „ლივერპულში" გადასული ალექსანდრ გოლოვკოს გარდა ყველანი უკრაინის დედაქალაქში უნდა დარჩნენ.

„ჩვენ მეოთხედფინალში გავედით, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველანი, შევჩენკოსა და რებროვის ჩათვლით, დინამოელებად დარჩებიან. მხოლოდ ვეტერანებმა, ოლეგ ლუჟნიმ და ალექსანდრ გოლოვკომ მიაშურეს დასავლეთს. მათ კიევის კლუბის წინაშე ღვაწლი მიუძღვით და ამიტომაც გამონაკლისებად ჩავთვალეთ" — თქვა „დინამოს" პრესატაშემ ალექსეი სემენეკომ.

„რეალს" უჯობდა „დინამოს" ფეხბურთელები გაეყიდა.

ყველაფერი გადახლართულია: „რეალმა" ცოტა ხნის წინ ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვში, „სპარტაკთან" 1:2 წააგო. „სპარტაკი" იმიტომ ვახსენეთ, რომ იგი სსრკ-ის ჩემპიონატებში კიეველთა უბოროტესი მტერი იყო. აქვე კიევისა და ბარსელონას გასული წლის დუელიც გვინდა გავიხსენოთ. ლიგის წინა გათამაშებაში „დინამომ" „ბარსას" ორი შეხვედრის ჯამში 7:0 სძლია. „ბარსა" კი იმიტომღა ვახსენეთ, რომ იგი „რეალის" უბოროტესი მტერია ესპანეთის ჩემპიონატებში.

ერთი რამ ფაქტია: კიევის „დინამო" დასავლეთევროპულ კლუბებს სიმდიდრით ჩამორჩება. წინაალმდეგ შემთხვევაში იგი 30 წლის კაპიტანს, იური კალიტვინცევს ერთი თვის წინ თურქულ „ტრაბზონსფორს" არ მიყიდიდა.

მოკლედ, რაც „დინამოს" პრეზიდენტს, გრიგორი სურკისს ჰქონდა ჩაფიქრებული, ყველაფერი ახდა. მან არ გაყიდა შევჩენკო და რებროვი, ხოლო ლობანოვსკის ყველა პირობა შეუქმნა, რათა მორიგი ერთსულოვანი გუნდი შეექმნა.

„ისინი არ იყიდებიან! — გაუმეორა ამასწინათ სურკისმა იტალიურ და ესპანურ კლუბებს.

თავად შევჩენკომაც განაცხადა, კიევში ვრჩები, რითაც ძალიან ბედნიერი ვარო. უკრაინელის კვალობაზე ამ ბიჭს მართლაც არაფერი უჭირს, როგორც ამბობენ, წელიწადში 100 ათასი დოლარი აქვს ხელფასი.

ამბობენ, რომ „დინამოს", რომელიც იმავდროულად უკრაინის ეროვნული გუნდის საძირკველიც გახლავთ, მთავრობისა და კიევის გავლენიანი ოჯახების წევრებიც აიძულებენ, რომ ფეხბურთელები შეინარჩუნოს. როგორც ჩანს, ქვეყნისთვის, რომელიც რუსეთის გავლენიდან ჯერ კიდევ არ გამოსულა, საფეხბურთო წარმატება ბევრს ნიშნავს.

ზემოთ მსაჯის მოქრთამვა ვახსენეთ. ვილას ახსოვს ეს ამბავი? რაც გუნდს ხელი ლობანოვსკიმ მოკიდა, ყველა იმაზე ფიქრობს, შეძლებს თუ ვერა ვეტერანი მწვრთნელი ისეთივე სიმაღლეების მიღწევას, 1975 და 1986 წლებში რომ მიაღწია — თასების თასი მოიპოვა.

მაგრამ „რეალთან" შეხვედრამდე მძიმე უკრაინული ზამთარია გამოსავლელი. შეძლებს კი ლობანოვსკი ყოფილი საბჭოთა გუნდებისთვის ჩვეული ჭირის, გაზაფხულზე ცუდად თამაშის თავიდან აცილებას? თავად განსაჯეთ, მარტამდე უკრაინაში ჩემპიონატი შეწყვეტილია. სად, ვისთან უნდა ივარჯიშოს „დინამომ"? ოფიციალური შეხვედრები ხომ ასე საჭიროა კარგი ფორმის შესანარჩუნებლად.

გასულ სეზონშიც იჩინა „საბჭოურმა გაზაფხულმა" თავი. მეოთხედფინალში „დინამომ" „იუვენტუსთან" ორი შეხვედრის ჯამში 2:5 წააგო.

სამი წლის წინ მოსკოვის „სპარტაკმა", ლიგაში ქულათა მაქსიმუმი რომ ჰქონდა მოგროვებული, მეოთხედფინალში „ნანტთან" იწვნია მარცხი. თან ზამთარში ფეხბურთელები გაყიდა.

თუმცა, რაც უნდა მოხდეს მომავალში, ის ხაზს ვერ გადაუსვამს იმას, რაც უკვე მოხდა: საკვალიფიკაციო ეტაპზე, „სპარტასთან" პენალტებამდე საქმე საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე გატანილმა გოლმა მიიყვანა; „უემბლიზე", „არსენალს" რებროვმა ბოლოწამს გაუთანაბრა; „პანათინაიკოსმა" შეხვედრის მიწურულს ბურთი საკუთარ კარში შეაგდო და წააგო.

„ზურგით კედელთან ვიყავით მიბჯენილი. ბოლო სამ თამაშში ორი ქულა გვქონდა მოპოვებული, მაგრამ გვწამდა, რომ ჩვენსას მივაღწევდით" — თქვა ლობანოვსკის ასისტენტმა ალექსეი მიხაილიჩენკომ „ლანსთან" გამარჯვების მერე.

მოამზადა
**ბაჩუნა კედიამ**

# მხოლოდ სამხრეთში

— ეს ყველაფერი პრესის მონაჭორია. ამგვარი თხოვნით არასდროს არავისთვის მიმიმართავს.

ასეთი განცხადება გააკეთა ჩრდილოეთ კორეის სპორტის მინისტრმა და ოლიმპიური კომიტეტის წევრმა უნგ ჩანგმა გუშინ ბანგკოკში მას შემდეგ, რაც ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეას სთხოვა, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ზოგიერთი მატჩი თავისთან ჩაეტარებინა.

ადგილობრივ პრესაში საპირისპიროც დაიწერა — სამხრეთ კორეის დელეგაცია მომავალი წლის იანვარში მეზობელ კომუნისტურ სახელმწიფოში აპირებს გამგზავრებას, რათა ამ ქვეყნის ფეხბურთის მამებთან ჩრდილოეთ კორეაში მატჩების ჩატარების საკითხი დაწვრილებით განიხილოსო. ჩანგმა ამასაც მონაჭორი უწოდა.

შეგახსენებთ, რომ 1950-53 წლებში ორ კორეას შორის ომი მძვინვარებდა. შედეგად შეიქმნა ორი სრულიად სხვადასხვა სახელმწიფო — კომუნისტური ჩრდილოეთ კორეა და კაპიტალისტური სამხრეთ კორეა. მათ შორის დღემდე არ გაფორმებულა ზავის დოკუმენტი. მეტიც, სამხრეთ კორეის კონსტიტუციის მე-7 მუხლში გარკვევით წერია, რომ კომუნისტური კორეა ამ ქვეყნის ოფიციალური მტერია. ერთი სიტყვით, ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობებს ჰარმონიულს ნამდვილად ვერ უწოდებ.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის სპორტის მინისტრები და მათი ხელქვეითები 1991 წელს შეხვდნენ, მაგრამ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ვერაფერზე შეთანხმდნენ.

— მას შემდეგ ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის კიდევ უფრო დაიძაბა, რაც ვფიქრობ, არც ერთის წისქვილზე არ ასხამს წყალს. ამიტომ მომავალში ყველანაირად ვეცდები, საერთო ენა გამოვნახოთ, ეს განსაკუთრებით სპორტს ეხება — აღნიშნა ჩანგმა სააგენტო „როიტერის" ჟურნალისტთან საუბრისას.

ჩანგმა ისიც დაამატა, რომ ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს ჩრდილოეთ კორეაში ჩასვლა სთხოვა და დადებითი პასუხიც მიიღო. სავარაუდოდ, ბლატერის ვიზიტი 1999 წლის პირველ ნახევარში შედგება.

— ჩვენი შეხვედრის უდიდეს ნაწილს სწორედ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეული სპორტის თანამშრომლობის საკითხებს დავუთმობ. იმის იმედიც მაქვს, რომ ბლატერის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს ანუ პირველ რიგში დამეხმარება, ჩრდილოეთ კორეელი მსაჯები კვალიფიკაციის ასამაღლებლად ევროპაში გავამგზავრო.

*კრისტიან ვიერი „იუვენტუსის" დიდების ხანაში დაიბადა, როგორც ფეხბურთელი. როგორც კი გამოჩნდა, ფეხბურთის სპეციალისტები მის მომავალზე ალაპარაკდნენ. ზოგი ამტკიცებდა, ვიერი მალე დათმობს პოზიციებს, ძალიან მოუხეშავი და არატექნიკურია, მოკლედ, უპერსპექტივოაო. ზოგიც ამ ახალგაზრდა ფორვარდს დიდ მომავალს უქადდა.*
*საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ სიმართლე ამ უკანასკნელთა მხარეს იყო. ვიერი ტურინული კლუბიდან მადრიდის „ატლეტიკოში" გადავიდა და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ესპანეთში ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა — პრიმერა დივიზიონის ბომბარდირიც გახდა და გუნდის ლიდერადაც იქცა.*
*შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი იყო, სადაც იტალიის ნაკრები არცთუ სახარბიელოდ გამოვიდა. იმ გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი სწორედ ვიერი გახლდათ — დიდი არგენტინელის, გაბრიელ ბატისტუტას დარად ხუთი გოლი გაიტანა და წინ მხოლოდ ხორვატი თავდამსხმელი დავორ შუკერი გაუშვა.*
*დასრულდა თუ არა საფრანგეთი 98, ვიერით დაინტერესება რომის „ლაციომ" გამოთქვა. რომაულ და მადრიდულ კლუბებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო და გარიგებაც შედგა — კრისტიან ვიერი „ლაციოს" უძვირფასეს ფეხბურთელად იქცა...*

# კრისტიან ვიერი:
# იუვენტუსში ალარასდროს დავბრუნდები

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი შესყიდვა, თანაც ამხელა თანხად, „ლაციოს" მხრიდან გამართლებული ნაბიჯი იყო?**

— ამას, ალბათ, მომავალი დაგვანახებს. პირადად ჩემთვის ძალიან სასიამოვნო ფაქტია, რომ „ლაციომ" მარსელო სალასი შეიძინა. იგი ფანტასტიკური ფეხბურთელია. მისი თამაშით მსოფლიოს ჩემპიონატზე პირდაპირ აღფრთოვანებული დავრჩი. როდესაც მარსელო იტალიაში ჩამოვიდა, ხალხმა საუბარი დაიწყო, აქაურ ფეხბურთთან შეგუება მეტად გაუჭირდებაო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მალე ყველა კარგად დაინახავს — მეტოქის საჯარიმოში სალასი ნამდვილი გარეული ნადირივით იბრძვის!

**— როდესაც თქვენი „ლაციოში" გადაბარგების საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, ხმა დაირხა, გუნდიდან ალენ ბოქშიჩი მიდისო. ამაზე რას იტყვით?**

— ეს ყველაფერი მონაჭორია, დაუჯერებელი. სეზონი იტალიაში მეტად დიდხანს გრძელდება — სერია A-ს მატჩები, იტალიის თასი, ევროტურნირები, ერთი სიტყვით, ძალიან დატვირთული კალენდარია და მისი ერთ დონეზე ჩატარება ურთულესი საქმეა. ლაციოსნაირი შეტევის ხაზი, მერწმუნეთ, მსოფლიოს არც ერთ კლუბს არ ჰყავს. ასე რომ, ძირითადში ხან ერთი ფეხბურთელი მოხვდება, ხანაც — მეორე. ბოქშიჩს „იუვენტუსიდან" ვიცნობ, იქ ერთად ვთამაშობდით. იგი უდიდესი ფორვარდია.

**— ზოგიერთები იმასაც ამბობენ, ბოქშიჩი „ლაციოში" თუ დარჩება, მხოლოდ იმიტომ, რომ კლუბთან თქვენ ერთწლიანი ხელშეკრულება გაქავშირებთ.**

— არა, ეს არ არის სიმართლე. მე ყოველ წამს სხვა კლუბში გადასვლაზე როდი ვფიქრობ. დღესდღეობით რომში ვარ და მხოლოდ „ლაციო" და მისი წარმატებებია ჩემთვის მთავარი. მომავალში რა იქნება, არავინ იცის. არ არის გამორიცხული, კარიერა აქვე გავაგრძელო.

**— „იუვენტუსის" ქომაგები ირწმუნებიან, რომ მალე ტურინში დაბრუნდებით...**

— ეს მათ სურთ ასე. მინდა, ყველამ კარგად იცოდეს — „ლაციოში" ყოფნით უბედნიერესი კაცი ვარ. ჩემთვის „იუვენტუსი" უკვე ისტორიას ჩაბარდა, იქ ალარასდროს დავბრუნდები.

**— „ლაციოს" პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი არ მალავს, რომ დიდი სურვილი აქვს მისი კლუბი სკუდეტოს მფლობელი გახდეს...**

— ეს გასაგებიცაა. „ლაციოს" ისეთი ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, ყველა ტიტულის მოპოვება შეუძლია, სადაც დღესდღეობით გამოდის. ამას ამბიციასაც კი ვერ უწოდებ. ღრმად ვარ დარწმუნებული, მიმდინარე სეზონი „ლაციოს" ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. ეს კრანიოტისაც სჯერა და მთელ გუნდსაც.

**— „ინტერს" დიდებული შემადგენლობა ჰყავს და, ისევე როგორც თქვენ, სერიოზული გეგმებიც აქვს დასახული, იქნებ ამაზეც გვითხრათ რაიმე.**

— გეთანხმებით, მაგრამ სულ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ „ინტერი" უაზროდ ყრის დიდ ფულს აქეთ-იქით. შეხედეთ „იუვენტუსს". ბოლო წლებში ამ კლუბმა ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლება და ეს მაშინ, როდესაც ახალი ფეხბურთელების შეძენაში მიზერულ თანხებს იხდის, ოღონდ ეგ არის, ამას ძალიან ჭკვიანურად და პრაქტიკულად აკეთებს.

**— თქვენ ერთი სეზონი მადრიდში, „ატლეტიკოსთან" ერთად გაატარეთ. რას ნიშნავს ის პერიოდი თქვენთვის საფეხბურთო თვალსაზრისით?**

— ბრწყინვალე წელი იყო. ესპანეთში დიდი გამოცდილების შეძენა შეიძლება. ამ მხრივ იქ ბევრი ვისწავლე და როგორც ფეხბურთელი, ძალიან გავიზარდე.

**— ამბობენ, იმიტომ დატოვეთ მადრიდი, რომ უთანხმოება მოგივიდათ „ატლეტიკოს" თავკაც არიგო საკისთან. ეს სიმართლეა?**

— არავითარ შემთხვევაში. პირიქით. იმ ხანმოკლე პერიოდში, რაც „ატლეტიკოში" მე და საკიმ ერთად გავატარეთ, იგი ძმასავით მექცეოდა. ყველანაირად ცდილობდა ჩემს დატოვებას. არიგო საათობით მესაუბრებოდა და მარწმუნებდა, რომ ჩემი „ატლეტიკოში" დარჩენა გუნდსაც წაადგებოდა და მეც. მაშინ მას ვეუბნებოდი, რომ იტალია ძალიან მომენატრა და შინ დაბრუნება მსურდა. საუბრები, თითქოს ჩვენს შორის შავმა კატამ გაირბინა, მთლიანად პრეზიდენტ ხესუს ხილის წამოწყებულია. იგი ვერ ხვდებოდა, რატომ ვაპირებდი სამშობლოში დაბრუნებას. საკის „ატლეტიკოს" მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ, ძალიან მალე, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით და თითქმის მთელი დღე ვსაუბრობდით. მან გამანდო თავისი ამბიციები და გეგმები და, სიმართლე გითხრათ, ძალიანაც მომხიბლა. რატომ უნდა ვიკამათო იმაზე, რაც სინამდვილეში იყო?



სარბიელის არქივიდან

იცხოვრებენ კრისტიან ვიერი და პიპო ინძაგი ერთ ბინაში?

**— და მაინც, თქვენ იტალიას მიაშურეთ...**

— სამშობლო, ოჯახი მენატრებოდა. ეს არც არასდროს დამიმალია და არც ვაპირებ ამას.

**— რა მოხდა თქვენს და „ატლეტიკოს" ყოფილ მწვრთნელ რადომირ ანტიჩს შორის „რასინგთან" შეხვედრის წინ?**

— საქმე ასე იყო: მე მინდოდა თამაში, მაგრამ კუნთი მქონდა დაჭიმული, რის გამოც მთელი ერთი თვის განმავლობაში ნორმალურად ვერც კი ვვარჯიშობდი. ეს ყველაფერი ანტიჩს მოკლედ ვუთხარი, მაგრამ მან ვერ გაიგო — გინდა თუ არა, ითამაშეო. მე არსად არ გავპარულვარ, როგორც ესპანური პრესა იუწყებოდა. რა და როგორც იყო, პრეზიდენტის შვილს მიგელ ანხელ ხილს ვუთხარი. მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდებოდა, ალარ გავრისკე, შეიძლებოდა ტრავმა გამრთულებოდა და ამიტომაც გავემგზავრე რავენაში, იქ უკეთ ვიმკურნალებდი. კი, მართალია, რომ ამის თაობაზე ანტიჩთან საფუძვლიანად არ მისაუბრია, მაგრამ კლუბმა ყველაფერი კარგად უწყოდა.

**— „იუვენტუსს" დავუბრუნდეთ. მის ირგვლივ ზაფხულიდან მოყოლებული დიდი აჟიოტაჟია. ალბათ, მიმიხვდით, რაც მაქვს მხედველობაში.**

— ერთს გეტყვით, კრეატინის ხარჯზე ვერც იტალიის ჩემპიონი გახდები და ვერც ჩემპიონთა თასის ფინალში გახვალ. ყველაფერი, რასაც ამ კლუბმა ბოლო სამოთხ წელიწადში მიაღწია, უდიდესი შრომის და თავდადების შედეგია, მეტი არაფრის. იმასაც გეტყვით, რომ მარჩელო ლიპი („იუვენტუსის" მწვრთნელი) და ჯანპიეტრო ვენტრონე (გუნდის ფიზიოთერაპევტი) უდიდესი პიროვნებები, ნამდვილი პროფესიონალები არიან. ესპანეთში განსაკუთრებით ვენტრონე მაკლდა. მან ყველაზე კარგად იცის, როგორ ჩამაყენოს საუკეთესო ფორმაში. ის, რომ დღესდღეობით საფეხბურთო სამყაროში რაღაცას წარმოვადგენ, მისი უდიდესი დამსახურებაა.

**— არ გაგიჭირდათ „იუვენტუსის" დატოვება?**

— ძალიან. ამ გუნდთან, ამ ქალაქთან, გუნდის გულშემატკივრებთან ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს. იქიდან წამოსვლისას გული საშინლად მწყდებოდა — პაოლო მონტერო, მარკ იულიანო და ნიკოლა ამორუზო ხომ ჩემი დიდი ძმაკაცები არიან.

**— თქვენი აზრით, მიმდინარე სერია A-ს სეზონში „იუვენტუსი" ფავორიტია?**

— უეჭველად. მართალია, ამჟამად გუნდს უჭირს, მაგრამ მისი ფავორიტების სიიდან ამოშლა სიბრიყვე იქნება.

**— კიდევ რომელ კლუბებს მიანიჭებდით უპირატესობას?**

— „ინტერს", „ლაციოს", „პარმას" და „მილანს", ამ გუნდებს გაჩემპიონების ზუსტად ერთნაირი შანსები აქვთ.

**— ესპანეთში თქვენ უფრო მეტი გოლი გაიტანეთ, ვიდრე რონალდომ. ამაყობთ ამით?**

— საერთოდ, როცა ვინმეს მადარებენ არ მსიამოვნებს. ერთადერთი, რისი თქმაც საკუთარ თამაშზე შემიძლია, ის არის, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი მაქვს, შესაბამისად სამუშაოც უამრავი. მე ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია, რონალდო — რაც მას შეუძლია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იგი უნიკალური ფეხბურთელია.

**— როგორ ფიქრობთ, არის შანსი, რომ ვიერი მიმდინარე სეზონში სერია A-ს საუკეთესო მეგოლე გახდეს?**

— არა მგონია, ეს ურთულესი საქმეა. ჩემი აზრით, ბომბარდირი ინძაგი გახდება. იგი მეტოქის საჯარიმოში მართლაც შეუდარებელია.

**— ინძაგის „რომაში" შესაძლო გადასვლაზეც ალაპარაკდნენ...**

— ეს მეც გავიგე. პიპოს „რომაში" გადაბარგების შემთხვევაში ყველაზე საინტერესო და კურიოზული ის იქნება, რომ ჩვენ აუცილებლად ერთ ბინაში ვიცხოვრებთ. წარმოგიდგენიათ, „რომას" და „ლაციოს" ცენტრალური თავდამსხმელები ერთ ბინაში? (იცინის).

**— თუ შეიძლება, თანამედროვეობის სხვა დიდ ფორვარდებზეც გვითხარით თქვენი აზრი.**

— გაბრიელ ბატისტუტა უდიდესი ფეხბურთელია. მას გოლის გატანის უტყუარი ალღო გააჩნია, აქვს უძლიერესი და ზუსტი დარტყმა, მშვენივრად ასრულებს საჯარიმოებს, ბრწყინვალეა საჰაერო ბრძოლებში. მას მარადონაზე მეტი გოლი აქვს გატანილი არგენტინის ნაკრებში, რაც ძალიან ბევრზე მეტყველებს.

რონალდო, როგორც უკვე გითხარით, უნიკალური ფორვარდია. აქვს ფანტაზიის დიდი უნარი, იდეალური ტექნიკა — საოცრად ფლობს ბურთს და ძალიან სწრაფია.

ბირჰოფი ჰაერშია უნაკლო. მას შეუძლია „მილანს" დიდი სარგებელი მოუტანოს. თანაც ბირჰოფს კვლავ ალბერტო ძაკერონი წვრთნის, კაცი, რომელთან ერთადაც გასულ სეზონში „უდინეზეში" მუშაობდა.

ალან შირერი ტიპიური ცენტრფორვარდია. ძალიან სახიფათოა მოწინააღმდეგის საჯარიმოში და მეტოქე მცველების უმცირეს შეცდომასაც კი მაქსიმალურად იყენებს.

არც რომარიო უნდა დავივიწყოთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი არყოფნა ბევრს არაფერს ნიშნავს. მისი დარი ტექნიკის მქონე ფეხბურთელი იშვიათად მინახავს.

**— საფრანგეთი 98-ს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, იტალიის ნაკრების წარუმატებელი გამოსვლა ჩეზარე მალდინის არასწორი ტაქტიკის ბრალი იყო?**

— როგორ შეიძლება მწვრთნელს რაიმე დაბრალდეს, როდესაც მისი გუნდი საერთოდ არ აგებს და ტურნირს მხოლოდ პენალტების სერიაში ეთიშება. ძალიან ვწუხვარ, რომ მალდინი „სკუადრა აძურას" აღარ წვრთნის, მის მიმართ დიდი სიმპათიები მქონდა.

**— ნაკრების ახალ დამრიგებელზე რას ფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს დინო ძოფის ხელმძღვანელობით მოგიწევთ თქვენ, ალესანდრო დელ პიეროს და რობერტო ბაჯოს ერთად თამაში?**

— ამ კითხვამ მსოფლიოს ჩემპიონატი გამახსენა. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, ძოფის კომპეტენციაა. მე ყოველთვის მსიამოვნებდა რობერტო ბაჯოს გვერდით თამაში, ეს არც ახალი ამბავია და არც საიდუმლო. სამწუხაროა, რომ მან მეოთხედფინალში ბარტეზს ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაუტანა, მაშინ ხომ ნახევარფინალში გავიდოდით. რაც შეეხება ალესანდროს, საფრანგეთში მას აშკარად არ უმართლებდა. ერთი გოლი მაინც რომ გაეტანა, მერწმუნეთ, შემდგომში სულ სხვა დელ პიეროს იხილავდით. ასეა თუ ისე, ჩვენ წავაგეთ გუნდთან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

**— თქვენ მხოლოდ 25 წლის ხართ და უკვე ამდენი კლუბი გამოიცვალეთ. რატომ?**

— არ ვიცი. ეს ყველაფერი ბუნებრივად, თავისით მოხდა. გუნდების ხშირი ცვლა ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა. ავსტრალიიდან იტალიაში 14 წლისა დავბრუნდი და „სანტა ლუჩიაში" დავიწყე თამაში, სადაც ადრე პაოლო როსი გამოდიოდა. შემდეგ, თამაშის სტილის დახვეწის მიზნით უფრო ძლიერი კლუბის ძებნა დავიწყე, ხშირი ადგილმონაცვლეობა ძალიან რთული საქმე გამოდგა. მეორე მხრივ, ჩემი „მოგზაურობა" ძალიან გამომადგა. ყოველ კლუბში, სადაც სხვადასხვა დროს ვთამაშობდი, მწვრთნელებისა და თანაგუნდელებისგან ბევრი ახალი ვისწავლე და ნელ-ნელა გამოცდილებაც დამიგროვდა.

**— დაბოლოს, რამდენი გოლის გატანას აპირებთ მიმდინარე სეზონში?**

— ოო, ეს რთული საწინასწარმეტყველოა. ისე კი გეტყვით — მთავარი არ არის, ვინ გაიტანს გოლებს: მე, სალასი, მანჩინი თუ ვინმე სხვა. ჩემი მთავარი მიზანი ის არის, რომ „ლაციო" დარჩეს გამარჯვებული!

**„უორლდ სოკერიდან" თარგმნა დავით კოზირიძემ**

## საჭირბოროტო
## კითხვა-პასუხი

*— წილისყრის შედეგებს თუ გაეცანი?*

— რომელი წილისყრის?

*— ჩემპიონთა ლიგის.*

— არავითარი წილისყრა არ ყოფილა.

*— როგორ, აი, წყვილები.*

— ჰმ... წყვილები.

*— რატომ დამცინი?*

— კარგად შეინახე ეგ წყვილები, არავინ მოგპაროს.

*— აჰა, ჩაიხედე და ნახავ, თუ არ იყო წილისყრა.*

— არ მინდა. მე ეგ წყვილები აგვისტოში ვიცოდი.

*— ვა?*

— რა ვა? ვიცოდი.

*— საიდან?*

— გამოვთვალე. ყველაფერი ჩაწყობილია.

*— ყველა თამაში?*

— სად ხედავ თამაშს?

*— ვინ ჩააწყო?*

— მე რა ვიცი, ჩაწყობილია. ყველაფერი წინდაწინ ვიცოდი.

*— შენ ლიგის მომგებიც გეცოდინება.*

— ვიცი. „იუვენტუსი" მოიგებს.

*— აბა, თამაშს რაღა აზრი აქვს?*

— ფული ხომ უნდა გაკეთდეს.

*— ვინ აკეთებს ამ ფულს.*

— ყველა.

*— სისულელეა. ზიდანმა იცის, რომ ჩაწყობილია?*

— არასწორი შეკითხვაა.

*— რატომ არის არასწორი? ოთხასოთხმოცმა ფეხბურთელმა, ოცდაოთხმა მწვრთნელმა, ოცდაოთხმა პრეზიდენტმა და კიდევ ვიღაც ჯეელებმა იციან, რომ ჩაწყობილია და მე არ ვიცი?*

— მე ხომ ვიცი?

*— შენ ვინ გითხრა?*

— ჩემით გამოვთვალე.

*— ზიდანს მაინც არ ეცოდინება.*

— დღეს მთავარი გატანა არ არის.

*— აბა, რა?*

— როცა საჭიროა გაიტანო, როცა საჭიროა ააცილო.

*— ეგ რაღა ფეხბურთია?*

— ვინ გითხრა რომ ფეხბურთია?

*— აბა, რა არის?*

— მე რა ვიცი. „იუვე" აილებს, აი, ნახავ.

*— რატომ?*

— რიგმა მოუწია.

*— რიგმა მოუწია?*

— ჰო, პურის რიგში რომ დგახარ, ხო მოგიწევს პური?

*— შენი აზრით, ფეხბურთი პურის რიგია?*

— „იუვე" აილებს.

*— და „ინტერი"?*

— „ინტერი" უკვე ჩამდგარია რიგში.

*— და „მანჩესტერი"?*

— აი, ეგ მაეჭვებს. კარგად ვერ გამოვთვალე „იუვეს" რიგია, თუ „მანჩესტერის".

*— რატომ?*

— ინფორმაცია არ არის.

*— და გაზა?*

— გაზა რა შუაშია?

*— გაზამაც იცის, რომ ჩაწყობილია?*

— გაზას ვინ ეტყვის მაგას.

*— სიმეონეს თუ ეუბნებიან?*

— მე რა გითხარი, მაგის სახელი აღარ ახსენო-მეთქი.

*— სისულელეა. ეგრე არ არსებობს.*

— რო აიღებს, მერე ნახავ.

*— შეიძლება აიღოს, მაგრამ ეგ ჩაწყობას ნიშნავს? „იუვე" ისედაც სულ ფინალშია.*

— ჰოდა, მოუწია რიგმა.

*— „მანჩესტერი" რომ არასდროს არის ფინალში? როგორღა მოუწია?*

— ეეე, უნდა გამოითვალო.

*— მასწავლე ეგ გამოთვლა.*

— არ ისწავლება.

*— ალგებრა ისწავლება და ეგ არა?*

— გამოთვლა ფეხბურთი ხომ არ გგონია?

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1996

## მათიას ზამერი

*გაიოზ თალაკვაძე*

# თავისუფალი ლიბერო

„ოქროს ბურთის" გამოკითხვაში ყველა ამპლუის ფეხბურთელი მონაწილეობს — მეკარეები, მცველები, ნახევარმცველები, თავდამსხმელები. თუმცა ამის მიუხედავად, ამ ჯილდოს თითქმის ყოველთვის შეტევათა შემქმნელნი და დამაგვირგვინებელნი იღებენ. „ფრანს ფუტბოლის" პრიზის 42 მფლობელს შორის მხოლოდ სამი ფეხბურთელია, თამაშის უმეტესი ნაწილი მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე რომ ზრუნავდნენ. აქედან ერთი მეკარე იყო, ორი კი — მცველი. ლევ იაშინი, ფრანც ბეკენბაუერი და მათიას ზამერი. აი, ის სამეული, რომელმაც თავდასხმის ოსტატებს აჯობა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მოიპოვა. თუ რუსი მეკარის აღიარება მისმა საუცხოო ნახტომებმა და საიმედო თამაშმა განაპირობა, გერმანელი ლიბეროების შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ორივეს ჩინებულად შეეძლო (იმედია, ზამერს კვლავ ვიხილავთ მინდორზე და ისიც კვლავ შეძლებს) როგორც დაცვა, ასევე თავდასხმა.

თავიანთი თავდაპირველი ამპლუის გამო, ბეკენბაუერსაც და ზამერსაც უყვარდათ შეტევებში ჩართვა და გამოსდიოდათ კიდეც. კაიზერი თავიდან გერმანიის ნაკრებში მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობდა, ზამერმა კი კარიერა სულაც ცენტრალურ თავდამსხმელად დაიწყო. მაგრამ ეს ძალიან ადრე იყო, ისე ადრე, რომ მაშინ ჯერ კიდევ ორი გერმანია არსებობდა...

1967 წლის 5 სექტემბერს აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ დრეზდენში „დინამოსა" და გდრ-ის ნაკრების ფეხბურთელის კლაუს ზამერის ოჯახს ახალი წევრი შეემატა — მათიასი. ბიჭი მამის კვალს გაჰყვა და ბურთი მისი ცხოვრების ნაწილი გახდა. 17 წლის ზამერი დრეზდენის „დინამოში" ჩაირიცხა და პირველი სეზონი მამის ხელმძღვანელობით ჩაატარა. „ბერლინის კედლის" დანგრევამდე იგი „დინამოს" ერთგული იყო და მასთან ნეთად 1989 და 1990 წლებში ქვეყნის ჩემპიონი გახდა, 1990 წელს კი გდრ-ის თასსაც დაეუფლა. თავიდან თავდამსხმელმა, შემდეგ კი შემტევმა ნახევარმცველმა დრეზდენულ გუნდში 123 მატჩი ითამაშა და 41 გოლი გაიტანა, ანუ ყოველ სამ თამაშში — ერთი.

გერმანიის გაერთიანებამდე მისთვის წარმოუდგენელი იყო არათუ ბუნდესლიგის ან დასავლეთ ევროპის, არამედ გდრ-ის სხვა კლუბში გადასვლაც კი. „მთელი ცხოვრების ერთ ქალაქში გატარება ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო" — იხსენებს ზამერი. „რკინის ფარდის" აწევისთანავე კი მათიასი პირველი გახდა, ვინაც „კომუნისტური გერმანია" დატოვა. მან „შტუტგარტს" მიაშურა, სადაც 1992 წელს ბუნდესლიგის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა. მშვენივრად ჩატარებული ორი სეზონის შემდეგ ზამერის გადაბირება იტალიურმა გრანდმა, „ინტერმა" მოინდომა და შეძლო კიდეც.

მილანურ გუნდში გერმანელი ფეხბურთელების თამაშის გარკვეული ტრადიცია უკვე არსებობდა. „ინტერის" ლურჯშავი მაისურით წინა წლებში მსოფლიოს ჩემპიონები ლოთარ მათეუსი, იურგენ კლინსმანი და ანდრეას ბრემე ასპარეზობდნენ. ზამერს მხოლოდ მათეუსიღა დახვდა და ისიც ტრამვირებული. „პირველი, რაც ლოთარმა მითხრა, ის იყო, რომ იგიც აპირებდა „ინტერის" დატოვებას. ამან ჩემზე ძლიერ იმოქმედა, მაგრამ თავიდან მაინც ყველაფერი კარგად აეწყო" — თავის იტალიურ მოგზაურობაზე საუბრობს ზამერი. მართლაც ყველაფერი კარგად დაიწყო ჟღალთმიანი გერმანელისთვის. მაშინ ჯერ კიდევ მოქმედებდა სამი უცხოელის წესი. „ინტერში" კი ოთხი ძლიერი არაიტალიელი ირიცხებოდა. მილანელები სეზონის დასაწყისში რუბენ სოსას, იგორ შალიმოვსა და მათიას ზამერს ათამაშებდნენ. დარკო პანჩევს კი სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა. ჩემპიონატის პირველ ექვს მატჩში ზამერმა ოთხი გოლი შეაგდო, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, მალე ტოტო სკილაჩი დაიმტვრა და „ინტერმაც" შეტევის გასაძლიერებლად პანჩევი გაიყვანა მინდორზე. მაკედონიელმა გერმანელი გუნდიდან განდევნა და მანაც სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

გერმანული კლუბებიდან მისადმი ყველაზე დიდი ინტერესი დორტმუნდის „ბორუსიამ" გამოიჩინა და ისიც მალე დათანხმდა. „ბორუსიამ" ნახევარმცველი იყიდა და ხელში ბეკენბაუერის დარი ლიბერო შერჩა. თუმცა მათიასის დაცვაში გადასვლა მხოლოდ შემთხვევითობის და ოტმარ ჰიტცფელდის ბრალია. მოვუსმინოთ თვით ზამერს: „როცა ნედ ზელიჩი დაიმტვრა, მწვრთნელმა მთხოვა, მისი ადგილი დამეკავებინა. მის მერე ეს პოსტი აღარასოდეს მიმიტოვებია. მაგრამ შეტევა, მაინც უწინდებურად მიტაცებს. დრეზდენში თავდამსხმელი ვიყავი და დაცვის დასახმარებლად ერთი მეტრის გარბენასაც არ ვკადრულობდი. ვთვლიდი, მთავარი მხოლოდ შეტევა იყო. დღეს კი ლამის ვცოფდები, როცა ვხედავ, რომ თავდამსხმელი დაცვაში არ ჩამოდის".

დაცვაში თამაში ზამერმა ჯერ კიდევ „შტუტგარტში" დააჭაშნიკა, სადაც ერთი ხანობა საყრდენ ნახევამცველად თამაშობდა. სწორედ მაშინ მიხვდა ის, თუ რაოდენ ძნელი იყო ბურთის მეტოქისთვის ართმევა. „შავი სამუშაოს შესრულება უდიდესი საქმეა. პატივს ვცემ ალბერტინის, დესაის, აილტსს და სხვებს" — თქვა მაშინ ზამერმა. დორტმუნდის „ბორუსიამ" ძალიან ბევრი მოიგო მათიასის ამპლუის ცვლილებით. იგი თითქმის უწინდებურად შედეგიანი იყო შეტევებისას, უკან კი ლამის გაუვალ კედლად ედგა ისეთ დიდ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან შირერი, შუკერი, კლინსმანი, პოლსტერი, კირსტენი...

ლიბერო ჩვენებურად თავისუფალ მცველს ნიშნავს. ზამერი კი იმდენად დიდი და არაორდინალური ფეხბურთელია, რომ „ფრანს ფუტბოლმა" მას „თავისუფალი ლიბერო" უწოდა. იგი თავისი ფუნქციებით არასოდეს შემოფარგლულა — მეტოქის შეტევის ჩაშლა, საკუთარის წამოწყება, პერსონალურად ვინმეს წინააღმდეგ თამაში, ზონური დაცვა, გოლის გატანა... „თავისუფალი ლიბეროს" ყველაფერი ეს ხელეწიფება და ამასთანავე იგი გუნდის უდავო ლიდერია.

გავიხსენოთ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატი. იტალიასთან უგოლო ფრეს მერე გასახდელებში ყველა გერმანელი ზეიმობს მეოთხედფინალში გასვლას. მხოლოდ „ცეცხლისთავა" მათიასია მოღუშული. „პენალტი ჩემს შეცდომას მოჰყვა. ძოლას რომ შეეგდო, საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებდი".

მეოთხედფინალში ხორვატიის წინააღმდეგ გერმანელ თავდამსხმელებს გოლი ვერაფრით გააქვთ. გუნდის ლიდერად ზამერი გვევლინება. მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტის მერე კლინსმანმა თავისიანები დააწინაურა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ კი გადამწყვეტი გოლი თვით ჟღალმა ლიბერომ შეაგდო. ფინალში კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა გერმანიის კარში ზამერის გამო, თუმცა მათიასმა კარელ პობორსკი თავის გუნდის თითქმის ყველა წარმატებაში. როცა იგი დაიმტვრა და თანაგუნდელებს გამოაკლდა, ამან მეტად იმოქმედა და, ფაქტობრივად, ნაკრებიც და „ბორუსიაც" კრიზისში ჩავარდნენ. იმის მტკიცებას არ ვაპირებ, რომ ზამერი შეუცვლელია, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ დიდი კაიზერის მერე გერმანიას მისი დარი ლიბერო აღარ ჰყოლია.

ზამერზე კიდევ უამრავი რამის მოყოლა შეიძლება. ამას ჩვენი გაზეთის ერთი ნომერიც არ ეყოფა. თუმცა ერთი ამბავი მაინც უნდა გავიხსენო. როცა იგი „ბორუსიაში" გადავიდა, განაცხადა, მინდორზე სხვებივით „ნაიკის" ბუცებით არ გამოვალო. ამიტომ დორტმუნდელებს „ნაიკთან" კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობისათვის 100 000 აშშ დოლარის გადახდამ მოუწიათ. „ჩემს ბავშვობაში გდრ-ში „ადიდასის" ბუცების შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. ეს ყველა ჩემი თანატოლის ოცნება იყო. ერთხელ მამაჩემს ვილაცამ აჩუქა და მანაც მომიტანა. ცოტა დიდი მქონდა, მაგრამ მაინც იმ ბუცებით ვთამაშობდი. იმის მერე მუდამ „ადიდასის" ერთგული ვარ" — ეს ისტორია მათიასმა რამდენჯერმე გაუმეორა ჟურნალისტებს და „ადიდასმაც" უფასო რეკლამის გამო მას მეტად სარფიანი კონტრაქტი დაუდო

ფეხბურთელობის გარდა ზამერს მშვენიერი ტაქტიკური აზროვნებაც შეუძლია. „კარიერის დასრულების შემდეგ აუცილებლად მწვრთნელობას მოვკიდებ ხელს. უფეხბურთოდ ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია" — თქვა ერთხელ „თავისუფალმა ლიბერომ". ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელის მწვრთნელობამდე ჯერ კიდევ შორია...



**მათიას ზამერი**

დაიბადა 1967 წლის 5 სექტემბერს გერმანიის ქალაქ დრეზდენში
ამპლუა: მცველი
სიმაღლე: 1,81
წონა: 75 კგ
კლუბები: „დინამო" (გდრ, 1985-90), „შტუტგარტი" (გერმანია, 1990-92), „ინტერი" (იტალია, 1992), „ბორუსია" (გერმანია, 1993-)
ტიტულები: გდრ-ის ჩემპიონი 1989 და 1990 წლებში; გერმანიის ჩემპიონი 1992, 1995 და 1996 წლებში; გდრ-ის თასი 1990 წელს; გერმანიის სუპერთასი 1995 წელს; ჩემპიონთა თასი 1997 წელს
ევროპის ვიცე-ჩემპიონი 1992 წელს;
ევროპის ჩემპიონი 1996 წელს;
გდრ-ის ნაკრებში 23 მატჩი და 6 გოლი
გერმანიის ნაკრებში 51 მატჩი და 8 გოლი

## ფეხბურთის ქრონიკა



**ფრანგი** ნახევარმცველი იბრაჰიმ ბა, დღესდღეობით „მილანის" წევრი, „ნიუკასლ იუნაიტედის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად ინგლისში გაემგზავრა. როგორც პოპულარული იტალიური გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი" ირწმუნება, მხარეები უკვე შეთანხმებულან ყველაფერზე, მხოლოდ ბას კონტრაქტზე ხელმოწერაა საჭირო. წინასწარი ცნობებით, 25 წლის ბას შეძენა, რომელიც იტალიელმა ქალებმა შარშანდელ გამოკითხვაში თავიანთ ქვეყანაში მოთამაშე ყველაზე სექსუალურ მამაკაცად აღიარეს, „ნიუკასლს" 9 მილიონი დოლარი დაუჯდება. ბამ კარიერა ფრანგულ „ლე ავრში" დაიწყო 1991 წელს. 5 სეზონის შემდეგ იგი „ბორდოში" გადავიდა, მერე კი, 1997 წლის ზაფხულში, 8 მილიონ დოლარად „მილანში". იტალიური კლუბის სათავეში ალბერტო ძაკერონის მისვლის შემდეგ ბას ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა და გუნდის გამოცვლაც გადაწყვიტა.

**პოლონეთის ნაკრებისა და გერმანული „ვოლფსბურგის" წამყვანი ფეხბურთელი ანჯეი იუსკოვიაკი დღეს ბუნდესლიგის ჩემპიონატის მორიგ მატჩს „ბაიერნის" წინააღმდეგ გამოტოვებს. მიზეზი ტრავმაა, რომელიც გერმანიის ჩემპიონატის ბომბარდირმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო.**

**გერმანიის** ჩემპიონატის აუტსაიდერ მინხენგლადბახის „ბორუსიას" ტრამვის გამო 30 წლის ნახევარმცველი მარსელ ვიტეჩეკი გამოაკლდა. ვიტეჩეკმა ტრავმა გასულ პარასკევს დორტმუნდის „ბორუსიასთან" მატჩში მიიღო. ექიმთა თავდაპირველი ვარაუდით, ტრავმა არც ისე მძიმე იყო, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ფეხბურთელი სასწრაფოდ საოპერაციო ყოფილა. ვიტეჩეკს ოპერაცია ხუთშაბათს გაუკეთეს, მინდორზე გასვლას კი დაახლოებით ორი თვის შემდეგ შეძლებს.

**უნგრეთის ნაკრებისა და „უიპეშტის" მცველი ვილმოშ სებოკი კარიერას ინგლისის პირველი დივიზიონის „ბრისტოლ სიტიში" გააგრძელებს. სატრანსფერო თანხა 400 ათასი გირვანქაა (672,900 დოლარი). 25 წლის სებოკს უნგრეთის ეროვნულ გუნდში 20 შეხვედრა აქვს გამართული. „ბრისტოლის" თავმჯდომარის სკოტ დევიდსონის თქმით, მცველი ინგლისში მუშაობის ნებართვას უნდა დაელოდოს, ამიტომ სულ ცოტა, იანვრამდე მოუწევს ცდა. სებოკმა ახალ კლუბთან სამწლინახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა.**

**მაკედონიის** ნაკრების წევრი სრჯან ზახარიევსკი ბუნდესლიგის კლუბ „შტუტგარტში" გადავიდა. გერმანულმა კლუბმა 25 წლის ნახევარმცველში მის ყოფილ გუნდს „სილკერსს" 800 ათასი მარკა გადაუხადა. ზახარიევსკს „შტუტგარტის" შემადგენლობაში თამაში გუშინვე შეეძლო — ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურში შტუტგარტელები დორტმუნდის „ბორუსიას" უნდა სწვეოდნენ.

**ხორვატიის ნაკრებისა და ზაგრების „კროაციის" ცენტრალური მცველი დარიო სიმიჩი 18 მილიონ გერმანულ მარკად (10,87 მილიონი დოლარი) მილანის „ინტერში" გადავიდა. ამ თანხიდან 8 მილიონ მარკას (4,83 მილიონი დოლარი) 23 წლის ფეხბურთელი პირადად მიიღებს, გარდა ყოველთვიური ხელფასისა, რომლის ოდენობაც ჯერჯერობით უცნობია. „დიდი სურვილი მაქვს, „ინტერთან" ერთად იტალიის ჩემპიონი გავხდე და ჩემპიონთა თასი დავისაკუთრო. ოთხი ხორვატიული ტროფეისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების შემდეგ გამარჯვების წყურვილი კიდევ უფრო გამიძლიერდა" — განუცხადა სიმიჩმა სააგენტო „როიტერის" ჟურნალისტს.**

**ინგლისის** პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბარნსლის" მაკედონიელი ლეგიონერი გეორგი ხრისტოვი სეზონის დასაწყისში მიღებული უმძიმესი ტრავმის და შვეიცარიის ერთ-ერთი საავადმყოფოში გადატანილი სერიოზული ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელების გზას ადგას. თუმცა, ექიმთა თქმით, 22 წლის ფეხბურთელი, ვისაც ადრეც აწუხებდა ტრავმები, თამაშს სულ ცოტა, თებერვლამდე მაინც ვერ შეძლებს.

**უნგრეთის უტიტულოვანესი კლუბი „ფერენცვაროში" უმწვრთნელოდ დარჩა. გუნდის ხელმძღვანელობამ ტიბორ ნიილასის გათავისუფლების გადაწყვეტილება მისგან დამოუკიდებლად, საგანგებო თათბირზე მიიღო. ამის მიზეზი მიმდინარე სეზონში გუნდის წარუმატებელი გამოსვლა ყოფილა. „ფერენცვაროში", რომელიც ორი წლის წინ უნგრეთის ჩემპიონი გახდა, ხოლო გასულ სეზონში მეორე ადგილს დასჯერდა, ამჟამად გათამაშების ცხრილის ბოლოში იმყოფება. „ტელევიზორს რომ არ ვუყურებდე და რადიოს არ ვუსმენდე, ჩემი გადაყენების ამბავი ახლაც არ მეცოდინებოდა. ჩემთვის ეს ოფიციალურად არავის შეუტყობინებია, რაც, რბილად რომ ვთქვა, ულამაზო საქციელია" — ვერ მალავდა აღშფოთებას ნიილასი.**

**ესპანეთის** ნაკრებისა და „ბარსელონას" გამოცდილი მცველი მიგელ ანხელ ნადალი მომავალი ორი თვის განმავლობაში ფეხბურთის თამაშს ველარ შეძლებს. ამის მიზეზი ოპერაციაა, რომელიც ნადალმა გუშინ კოჭზე გაიკეთა. ბოლო ხანებში 32 წლის მცველი სულ უფრო ხშირად უჩიოდა კოჭის ტკივილებს, ორი კვირის წინ კი სიარულიც გაუჭირდა. გასულ სეზონში ტრავმების გამო ნადალმა „ბარსელონას" შემადგენლობაში მხოლოდ 21 შეხვედრა ჩაატარა.

**ჩეხეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს" ნახევარმცველი რადეკ ბეიბლი კლუბში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო ყოფილა. „ზოგიერთ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ვარ, ზოგიერთში სათადარიგოთა სკამზე მამწესებენ, ხანდახან კი განაცხადში საერთოდ ვერ ვხვდები. ჩემი აზრით, ამჟამად მშვენიერ ფორმაში ვარ და ბევრ თანაგუნდელზე კარგად ვირჯები, ხოლო არიგო საკი მაინც არ მათამაშებს. ამიტომაც „ატლეტიკოში" თავს ცუდად ვგრძნობ. გასაგებია, რომ გუნდში მთავარი მწვრთნელია და მას ყველა უნდა დაეთანხმოს, მაგრამ აქ მეორე მხარეც არის — მწვრთნელმაც უნდა უგდოს ყური ფეხბურთელთა აზრს" — განაცხადა აღშფოთებულმა ბეიბლმა ესპანური ტელევიზიით გამოსვლისას. სავსებით შესაძლებელია, უახლოეს მომავალში ჩეხმა ფეხბურთელმა, რომელსაც ნაკრებში 21 მატჩი აქვს გამართული, კლუბი მიატოვოს. „ცოტასაც მოვიცდი და თუ ასე გაგრძელდება, მაშინ კარიერის სხვაგან გაგრძელებაზე ვიფიქრებ" — დაამატა ბეიბლმა.**

**ესპანეთის** ჩემიონატის ლიდერმა „მალიორკამ" და პრიმერა დივიზიონის პირველობისთვის მედგრად მებრძოლმა „ვალენსიამ" ესპანეთის ნაკრების წევრის, მადრიდის „რეალის" ნახევარმცველის ემილიო ამავისკასადმი დაინტერესება გამოთქვეს. პირველი „სამეფო კლუბს" „ვალენსიას" თავმჯდომარე ხავიერ სუბირატსი დაკავშირებია და ამავისკაზე საუბრი ჩამოუგდია. ამის შემდეგ ჩემპიონთა თასის მფლობელებს „მალიორკას" მთავარი მწვრთნელი ექტორ კუპერი შეხმიანებია, ეგ ბიჭი დაგვითმეთ, ჩემპიონობას ვაპირებთ და ძალიან გვჭირდებაო. ესპანურ პრესაში აგრეთვე გაიჟღვა ინფორმაციამ, რომ ამავისკას შეძენა სანტანდერის „რასინგსაც" უნდა. 27 წლის ნახევარმცველი მადრიდის „რეალში" მე-5 სეზონს ატარებს. წლეულს იგი სულ უფრო იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში — ჰიდინკის გეგმებში არ შედის. მადრიდული კლუბი იმედოვნებს, რომ ამავისკა ზამთრის სატრანსფერო სეზონში, სავარაუდოდ, 15 იანვრამდე გამონახავს ახალ გუნდს. მეორე მხრივ, ფეხბურთელის გაყიდვას ხელს ის უშლის, რომ სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება. ემილიო ამავისკას ესპანეთის ნაკრებში სულ 15 შეხვედრა აქვს გამართული.

# პარი სენ ჟერმენს უჭირს



სარბიელის არქივიდან

არტურ ჟორჟე

1996 წლის თასების თასის მფლობელის, ფრანგულ კლუბ პსჟ-სთვის წლევანდელი სეზონი მეტად უხეირო გამოდგა. ჯერ იყო და ევროპულ თასებს ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა, ახლა კი ეროვნულ ჩემპიონატშიც არასახარბიელო ადგილზე იმყოფება. 1991 წლის მერე, რაც „Canal+"-მა იყიდა, გუნდს ასეთი ჩავარდნა არ ჰქონია. ფეხბურთელები უფერულად თამაშობენ, ხელმძღვანელობა გაურკვევლობაშია, ხოლო განრისხებული გულშემატკივრები ყოველი თამაშისას კლუბის პრეზიდენტის შარლ ბიეტრის გადადგომას ითხოვენ.

გუშინწინ „canal+"-ის ოფისში ამ ტელეარხის პრეზიდენტის პიერ ლესკურის ხელმძღვანელობით საგანგებო სხდომა მოეწყო. ყველა ელოდა, რომ კლუბის თავკაცების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები განხორციელდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. პსჟ-ს ყველა ჩინოსანი თავის ადგილზე დარჩა, ისევე, როგორც მწვრთნელი არტურ ჟორჟე.

ოთხშაბათს მარსელში „ოლიმპიკისადმი" მიძღვნილი ტელეარხის „OM-TV"-ს პრეზენტაციაზე პიერ ლესკურმა განაცხადა: „Canal+" პსჟ-ს არხი არაა. პარიზული კლუბის მფლობელებმა გადაწყვიტეს, ამჟამად იქ მიმდინარე მოვლენებში არ ჩაერიონ. მათ, უბრალოდ, მოუწოდეს ბიეტრისა და ჟორჟეს, ერთმანეთთან საერთო ენა გამონახონ და გუნდი კრიზისიდან გამოიყვანონ. მათი აზრით, მე-9 ადგილი და თასების თასზე ხაიფას „მაკაბისთან" მეთექვსმეტედფინალში წაგება იმ კლუბს, რომელსაც საფრანგეთში ყველაზე დიდი ბიუჯეტი (350 მლნ ფრანკი) აქვს, ნამდვილად არ ეკადრება.

ბიეტრისა და ჟორჟეს მარტოებს მოუწევთ სიტუაციის გამოსწორება, რადგან „Canal+" სანტიმის გაღებასაც არ აპირებს პსჟ-სთვის. არადა, პორტუგალიელი მწვრთნელი სამი-ოთხი ძლიერი ფეხბურთელის ყიდვას აპირებდა. ამიტომ პარიზელებმა ტრანსფერების საშობაო ბაზარზე თადაპირველად ვინმე უნდა გაყიდონ, რათა ყიდვა შეძლონ. მთავარია, „თხა გავყიდე, თხა ვიყიდე"-ს პრინციპით არ იმოქმედონ.

შარლ ბიეტრი პსჟ-ს პრეზიდენტობაზე ოცნებობდა, არტურ ჟორჟე კრიზისში ჩავარდნილი გუნდის მწვრთენლობას უმალ დათანხმდა. ჰოდა, ჩიხიდან გამოსასვლელი გზები სწორედ მათი საძიებელია. ეს დუეტი ორშაბათიდანვე შეეცდება კლუბის ხაზინის შევსებას. პსჟ-ს ფეხბურთელების გადაბირების მსურველებიც გამოჩნდნენ და ისინი სოლიდური ფულის გადახდაზეც ყაბულს არიან. ჟერომ ლერუაში („მეცი" ან „ბასტია") და ლორან ლერუაში („სტრასბური") დედაქალაქელებს ათ-ათ მილიონ ფრანკს სთავაზობენ. ინგლისურ „ნიუკასლს" კი ისეთი პირი უჩანს განაპირა მცველ დიდიე დომიში 30 მილიონი ფრანკის გადამხდელია. „პარი სენ ჟერმენი" შესაძლოა წლეულს ესპანეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ნიკოლა უედეკმაც დასტოვოს. ის „მონპელიეს" შეუგულებია ალბიონზე გამგზავრებული იბრაიმ ბაკაიოკოს შემცვლელად.

„პარკ დე პრენსის" ახალ ბინადრებად კი ბრუნო როდრიგესს („მეცი") და მიკაელ მადარს („ევერტონი") ასახელებენ. „მეცის" ცენტრალური თავდამსხმელის პსჟ-ში გადასვლა შეიძლება რეალურად ჩაითვალოს, მით უმეტეს, თუ ლოტარინგიული კლუბი ჟერომ ლერუას იყიდის. რაც შეეხება მადარს, მის ყიდვაზე პარიზელები, ალბათ, კიდევ ბევრს იფიქრებენ, რადგან თვლიან, რომ ფეხბურთელი ძალიან მაღალ ხელფასს ითხოვს.

ამ ტრანსფერების გარდა ისიცაა მოსალოდნელი, რომ პსჟ-ს ერიკ რაბესანდრატანა, ან კრისტიან ვიორნსი დატოვებს, რადგან მათი საკუთარ გუნდში ნახვის სურვილი ძალიან ბევრ მდიდარ უცხოელს გაჩენია.

ვის გაყიდის, ვის იყიდის და რას მოუტანს მთელი ეს ვაჭრობა „პარი სენ ჟერმენს", დრო გვიჩვენებს, მანამდე კი გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატში შესვენების გამოცხადებამდე დარჩენილი ბოლო ტურის მატჩს დღეს გამართავს ლორიანში. პირველი დივიზიონის დებიუტანტთან მათ ყველაზე მეტად პატრის ლოკოსი ეშინიათ, ძნელია მის წინააღმდეგ თამაშით. მართლაც, ექსნანტელმა „ლორიანის" შემადგენლობაში ჩატარებულ ხუთ მატჩში სამი გოლის გატანა შეძლო. არადა, ლოკო, როგორც „უგერგილო თავდამსხმელი", პსჟ-მ გაყიდა. იქნებ ფეხბურთელების ბრალია, იქნებ მწვრთნელის ან პრეზიდენტის, მაგრამ პსჟ-ს ფანებს უსახური თამაში მობეზრდათ, ისინი მოგებებს ითხოვენ...

**ბახა თალაკვაძე**



სარბიელის არქივიდან

შარლ ბიეტრი ისევ ნერვიულობს

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XVIII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ბაიერნი — ვოლფსბურგი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჰამბურგი — ნიურნბერგი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| კაიზერსლაუტერნი — მიუნხენ 1860 | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აინტრახტი — დუისბურგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ჰანზა — ლევერკუზენი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| შალკე — მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ვერდერი — ჰერტა | 2,4 | 2,8 | 2,7 |

**გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 დეკემბერი | | | |
| ზანქტ პაული — ფიურტი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ულმი — კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| უნტერჰახინგი — კიოლნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ობერჰაუზენი — კიკერსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ფორტუნა — ურდინგენი | 1,25 | 4,7 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,7 |
| გიუტერსლო — დიუსელდორფი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 21 დეკემბერი | | | |
| ულმი — კარლსრუე | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XVIII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ჩელსი — ტოტენჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ქოვენთრი — დერბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლივერპული — შეფილდ უენსდეი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| მანჩესტერი — მიდლსბრო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ნიუკასლი — ლესტერი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ნოტინგემი — ბლექბერნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| საუთჰემპტონი — უიმბლდონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — ევერტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| არსენალი — ლიდსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 21 დეკემბერი | | | |
| ჩარლტონი — ასტონ ვილა | 3,5 | 2,8 | 2,0 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ბარნსლი — სვინდონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბირმინგემი — სანდერლენდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბოლტონი — პორტსმუთი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბრედფორდი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ქრიუ — ჰადერსფილდი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| კრისტალ პალასი — ქუინზ პარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| გრიმსბი — უოტფორდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ნორვიჩი — ბრისტოლი | 1,8 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| პორტ ვეილი — ბერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სტოკპორტი — ოქსფორდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — ტრანმერი | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| შეფილდ იუნაიტედი — იფსვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ბასტია — ოსერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბორდო — მეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მონაკო — ლიონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლორიანი — პსჟ | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ნანსი — ლანსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მარსელი — ლე ავრი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სტრასბური — რენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სოშო — ნანტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტულუზი — მონპელიე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 დეკემბერი | | | |
| კალიარი — ბოლონია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ემპოლი — პარმა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ინტერი — რომა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| იუვენტუსი — სალერნიტანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლაციო — უდინეზე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| პერუჯა — ფიორენტინა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| პიაჩენცა — ბარი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სამპდორია — მილანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვიჩენცა — ვენეცია | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ვერონა — კიევო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ბრეშა — მონცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| ჩეზენა — ტორინო | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| კრემონეზე — პესკარა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ფ. ანდრია — ჯენოა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ლეჩე — ნაპოლი | 2,3 | 3,1 | 2,5 |
| ლუკეზე — რავენა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| რეჯანა — ატალანტა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| რეჯინა — კოზენცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| ტრევიზო — ტერნანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| დეპორტივო — ბეტისი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ვალიადოლიდი — ბარსელონა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ვილიარეალი — ბილბაო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ატლეტიკო — სარაგოსა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მალიორკა — რასინგი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ტენერიფე — ესტრემადურა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ოვიედო — რეალი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| სოსიედადი — სელტა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ესპანიოლი — ვალენსია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ალავესი — სალამანკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XVII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ბარსელონა B — ალბასეტე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ოსასუნა — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ერკულესი — ტოლედო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ბადახოსი — სპორტინგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლეგანესი — ლას პალმასი ($15^{00}$) | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| მერიდა — მალიორკა B | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რეკრეატივო — ატლეტიკო B | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ორენსე — რაიო ვალეკანო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სევილია — ლოგრონიესი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| კომპოსტელა — ლეიდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მალაგა — ნუმანსია | 2,4 | 2,8 | 2,7 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. XVI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| პორტუ — სპორტინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კამპომაიორენსე — გიმარაეში | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 20 დეკემბერი | | | |
| სეტუბალი — შავეში | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბენფიკა — აკადემიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,6 |
| ბრაგა — ამადორა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სალგეირუში — რიუ ავე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლეირია — ბეირა მარი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ალვერკა — მარიტიმუ | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ეინდჰოვენი — ტილბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ტვენტე — ვიტესი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ფეიენოორდი — აიაქსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვალვაიკი — ბრედა | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| უტრეხტი — სპარტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XIX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ოსტენდე — გენტი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ლოკერენი — კორტ რაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ანდერლეხტი — ბევერენი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| ლომელი — მუსკრონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სენტ ტრუიდენი — ვესტერლო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ეკერენი — ბრიუგე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| აალსტი — სტანდარდი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ჰარელბეკი — შარლერუა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**თურქეთის ჩემპიონატი. XVII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ანთალია — ტრაბზონსფორი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ერზრუმი — ფენერბაჩე ($14^{30}$) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ალთაი — ქარაბუქი ($16^{00}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ანკარაგიუჯიუ — საქარია ($16^{00}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ისთანბული — გენჩლერბირლიგი ($16^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქოჯაელი — ადანა ($16^{00}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| გაზიანთებსფორი — გალათასარაი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ბეშიქთაში — დარდანელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 4,0 | 3,6 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| დანდი — აბერდინი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჰართსი — რეინჯერსი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| მოზერველი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 20 დეკემბერი | | | |
| კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ბუფალო — კაროლინა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ტორონტო — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| მონრეალი — ნიუ ჯერსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ფილადელფია — ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| პიტსბურგი — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფლორიდა — ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ვანკუვერი — ნეშვილი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| სან ხოსე — კოლორადო | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 20 დეკემბერი | | | |
| ოტავა — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფილადელფია — ტამპა ბეი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| ჩიკაგო — ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფინიქსი — აილენდერსი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| 21 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — ტამპა ბეი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ტორონტო — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| მონრეალი — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| კაროლინა — ბუფალო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ანაჰაიმი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |

**ტურში გატანილი გოლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი (მე-18) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი (მე-20) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-14) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-15) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# უნებლიე მარათონი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო




რუსთაველმა ირაკლი ჯაფარიძემ ყველაზე მეტი ქულაც დააგროვა და ყველაზე მეტჯერაც ჩატენა

ბადრი კეთილაძის ფოტო




სტუ-ელ ნიკო ჩერქეზიშვილს (ბურთით) რუსთაველი ზვიად ბაბიაშვილი გადაეღობა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო




სტუ-ელი შალვა ცხვედიანი (15) მეურვე რამაზ გოგობერიშვილს გაექცა

18 დეკემბერი
თბილისი
ვერის ბაღი
9 ტური

**სტუ 109:137 აზოტი**

I ტაიმი 67:68

**სტუ:** მიქაძე (8), ტუღუში, ნაცვლიშვილი (22), ნოზაძე (1), ოთიურიძე (21); მოისწრაფიშვილი (7), სუხიშვილი (2), ჩერქეზიშვილი (24), ლოსაბერიძე (2), მინაშვილი (2), ცხვედიანი (20)

**აზოტი:** ქლენტი (11), გაბისონია (22), გოგობერიშვილი (19), ბერუაშვილი (7), ჯაფარიძე (34); ბაბიაშვილი (25), გოგოლაძე (1), ჩაჩუა (5), დანელიანი, კოჭლამაზაშვილი (2), ბარამიძე, ჯიმშელეიშვილი (11)

**მსაჯები:** მურმან ქურიძე, დავით ბერეკაშვილი

**დელეგატი:** აკაკი მეგრელაძე

მერვე საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო, მეცხრე ტურში ერთმანეთის პირისპირ აქამდე დაუმარცხებელი გუნდები წარდგნენ. როგორც შარშანდელ ვიცე-ჩემპიონებს, ასევე წლეულს ალმავლობით მოთამაშე სტუდენტებს, მარცხის სიმწარე არ ეგემათ, რაც შეხვედრას დამატებით ინტრიგას მატებდა და ვერის ბაღში შეკრებილი გულშემატკივარიც განსაკუთრებულ სანახაობას ელოდა.

მოლოდინმა გაამართლა. ის, რაც გუშინ ქომაგმა იხილა, გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ განსაკუთრებული. არა, ეს არ იყო უჩვეულო დრამატიზმითა და ნაირგვარი საკალათბურთო ელემენტებით დახუნძლული შეხვედრა. ეს იყო ჩვეულებრივი მატჩი, სადაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდები, ნაცნობი სცენარით მორიგი გამარჯვებისთვის იბრძოდნენ.

მაშ, უჩვეულო რაღა იყოო? — იკითხავს დაინტერესებული მკითხველი და მართალიც იქნება, თუმცა ასეთებს მოთმინებისკენ მოვუწოდებთ და ვურჩევთ, უფრო გულმოდგინედ დააკვირდნენ მატჩის საბოლოო და მით უფრო, პირველი ტაიმის ანგარიშს. თუ უცნაურობა მაინც ვერ იგუმანეთ, მაშინ პირდაპირ გეტყვით. პირველი ნახევარი, არც მეტი, არც ნაკლები, საათსა და ხუთ წუთს გაგრძელდა. ამდენი ხანი დასჭირდა რიგით საკალათბურთო ტაიმს (რომლის სუფთა დრო, როგორც წესი, ოცი წუთია), რომელიც, ბევრი-ბევრი, ორმოც წუთამდე გაგრძელდეს. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა მატჩი ამა თუ იმ მიზეზით შეწყდება, ანდა შეფერხდება. ჩვენში ასეთები მრავლად ხდება და ამაზე დიდ ყურადღებას აღარც გავამახვილებდით, მაგრამ...

მიზეზი, რამაც ყოველივე გამოიწვია, მეტი რომ არ ვთქვათ, სასაცილოა. სხვა რა შეიძლება უწოდო იმას, როცა ტაბლო, უფრო კი მასზე დამონტაჟებული წამზომი ისევე მძიმედ მოქმედებდა, როგორც მთლიანად ქართული კალათბურთი. ვითარებაში უკეთ რომ გაერკვეთ, გეტყვით: წამზომის ერთი წუთი რეალურად დაახლოებით წუთნახევარს ითვლიდა და აქედან გამომდინარე „დაუმთავრებელი პირველი ტაიმიც" უფრო და უფრო გაუსაძლისი საყურებელი ხდებოდა.

შეუძლებელია, ყოველივეს შეხვედრის შინაარსსა და სანახაობრივ მხარეზე არ ემოქმედა. პირველივე ტაიმში გათანგული გუნდები... თუმცა სჯობს, თანმიმდევრულად მივყვეთ.

ანგარიში ზვიად მიქაძის სწრაფი შეტევის შემდეგ გაიხსნა, რასაც „აზოტის" საპასუხო შეტევა მოჰყვა — ქლენტის არაზუსტ სამიანზე ჯაფარიძემ გაიბრძოლა, ბურთიც მოიგო და კალათშიც მოათავსა, ჯარიმაც მიაყოლა და თავისიანები წინ გაიყვანა. ამან სტუ აანერვიულა, რაც ზედიზედ ორჯერ უშედეგო შეტევაში გამოიხატა. ყოველივე ამით კი რუსთაველებმა ისარგებლეს და იმავე ჯაფარიძემ და გაბისონიამ „აზოტი" ექვსი ქულით დააწინაურეს 8:2. სტუდენტთაგან პირველი ნაცვლიშვილი გამოფხიზლდა, რომელმაც რამდენჯერმე საჭირო საჰაერო ორთაბრძოლაში იმარჯვა და შეტევაც დააგვირგვინა. მას ოთიურიძემაც აუბა მხარი და მესამე წუთისთვის თამაში გათანაბრდა, თუმცა ამ დროისთვის უფრო „აზოტის" გამთამაშებელი აჩიკო ქლენტი გამოირჩა, რომელიც უნარიანად გაუძღვა გუნდის შეტევებს, თამაში დაალაგა და დამუშავებული კომბინაციებით შეეცადა მოწინააღმდეგის დაცვის დაშლას.

სწორედ ქლენტის დამსახურება იყო, რომ სტუ წინ ვერ გადიოდა, მაგრამ ნელ-ნელა სტუდენტებიც იკრებდნენ ძალას და ნაცვლიშვილი-ოთიურიძის ჩინებული გარღვევების შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც 14:12. ყოველივეს ისიც დაერთო, რომ რუსთაველ ბერუაშვილს ოთხი ნაადრევი პერსონალური დაუგროვდა და შესაცვლელი შეიქნა. მის მაგივრად შემოსული ბაბიაშვილი კი თამაშში კარგად ჩაერთო და ისევ „აზოტი" იგებს 21:16.

შუაგული ტაიმისთვის მოთამაშეებს დაღლა დაეტყოთ და მწვრთნელებმაც შეცვლებს უხშირეს. მოედანზე ახალგამოსულები სწრაფ შეტევებს მიეძალნენ, რამაც გუნდების დაცვითი ქმედება რამდენადმე შეუთანხმებელი გახადა. სამაგიეროდ, ჯარიმებმა იმატა, რასაც მეტოქეები არცთუ სარგებლიანად იყენებდნენ, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მატჩს სიმწვავე არ მოჰკლებია. წინ ხან ერთი გუნდი გადიოდა, ხანაც მეორე, ოღონდ სხვაობა ოთხ-ხუთ ქულას არ აღემატებოდა. „აზოტი" ძირითადად ჯაფარიძე-ბაბიაშვილის კარგი თამაშით გადიოდა ფონს, რომელთაც ყველგანმყოფი გაბისონიაც ეხმარებოდა. სტუ-ს ლიდერობა კი გამოცდილმა ჩერქეზიშვილმა იკისრა, რომელმაც მისებრ გამოცდილ ცხვედიანთან ერთად შეტევათა უმეტესობის დაგვირგვინება ითავა.

პირველი ნახევარი ასევე ქულა-ქულაში გაგრძელდა და აჩიკო ქლენტის საშუალო მანძილიდან ნასროლმა ამ მართლაც „დაწყევლილი ტაიმის" გამარჯვებული გამოავლინა.

„აზოტისგან" განსხვავებით, სტუ-მ აშკარად ვერ გათვალა თავისი შესაძლებლობები და მატჩის განახლებისთანავე ცხადი გახდა, რომ გუნდმა მთელი ჯანი და ენერგია პირველ ტაიმს შეალია. ამას ისიც დაერთო, რომ მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა მოედანზე ექსპერიმენტული ხუთეული განალაგა, რაც ფიზიკურად უკეთ მომზადებული რუსთაველებისთვის იოლი დასაძლევი აღმოჩნდა და სამი წუთის შემდეგ სხვაობამ ათ ქულას მიაღწია 79:69.

ყოველივემ „აზოტს" თვითრწმენა შემატა და დროდადრო სხვაობაც იზრდებოდა. გოგობერიშვილი, ჯაფარიძე, ბაბიაშვილი და სხვანი რიგრიგობით აწიოკებდნენ მეტოქეს. მათთან გამკლავება კი სტუდენტებს უფრო და უფრო უჭირდათ და მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გუნდებს შორის ქულათა სხვაობა ლამის ასტრონომიული გახდა 128:98.

მეტოქეთა უკანასკნელმა ჩხვლეტებმა მხოლოდ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, თორემ „აზოტის" გამარჯვებაში ეჭვი აღარავის შეუტანია. ამ მოგებით რუსთაველები სატურნირო ცხრილსაც ერთპიროვნულად გაუძღვნენ, რაც მათ საახალწლო შვებულების წინ მშვიდად ყოფნის საბაბს აძლევს.

**გიორგი ბიკაშვილი**

## მატჩის შემდეგ

თამაზ ოქრუაშვილი (სტუ-ს მწვრთნელი): დღეს უძლიერესმა გაიმარჯვა. რუსთაველები კარგად გამოიყურებოდნენ და ღირსეულადაც მოიგეს ამაში ლომის წილი ირაკლი ჯაფარიძესა და არჩილ ქლენტს მიუძღვით. მატჩი მართლაც ლამაზი, საინტერესო და დაძაბული გამოდგა, თუმცა პირველ ტაიმში გუნდები ძალიან დაიღალნენ — ტაბლოზე დროის არევამ მეორე ნახევარში მათ თამაშზე უარყოფითად იმოქმედა. „აზოტი" ფიზიკურად უკეთ არის მომზადებული და აკი გაიმარჯვა კიდეც.

სტუ და „აზოტი" ჩემპიონატის ლიდერების არიან და მომავალ მატჩში, ბუნებრივია, ყველაფერს ვილონებთ, რათა დღევანდელი შეცდომები არ გავიმეოროთ.

ოთარ ზმელიძე („აზოტის" მწვრთნელი): მეტად საჭირო მატჩი მოვიგეთ და პირველ ადგილზეც გადავინაცვლეთ. მიხარია, რომ პირველი წრე დაუმარცხებლად განვვლეთ.

სტუ ახალგაზრდებით დაკომპლექტებული, კარგი გუნდია და ვფიქრობ, ჩემპიონის ტიტულის ერთ-ერთი მოცილე სწორედ იგი იქნება. დღეს კი გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმე მოთავებული გვაქვს. მათ კიდევ სამჯერ უნდა შევხვდეთ, ამიტომ მომდევნო მატჩები ბევრად დაძაბული იქნება. ახალგაზრდებს გამოცდილი კალათბურთელები — ცხვედიანი, ჩერქეზიშვილი და ოთიურიძე უდგანან გვერდში და ეს დიდი სტიმულია მათთვის, თუმცა დღეს ჩვენი გამარჯვება ნამდვილად ლოგიკური იყო.

ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა მოგებისთვის ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა რომ გვაკლია, ცხადია. ამის მიზეზი კი ჩემპიონატზე გამოცხადებული დიდი შესვენებებია. ახლაც ხომ ასეა, შეჯიბრი იანვრის ბოლოს განახლდება, რაც გუნდების მომზადებას ნამდვილად არ წაადგება.

სტუ-ს კაპიტანი ნიკო ჩერქეზიშვილი რომ მარცხს ადვილად ვერ ეგუება, ყველამ კარგად იცის: პირველ ტაიმში ქულა-ქულაზე ვითამაშეთ, მეორე ნახევრის დასაწყისი კი მწვრთნელებმა ახალგაზრდებს ანდეს, რამაც არ გაამართლა. „აზოტი" დაწინაურდა და გაიმარჯვა კიდეც.

ირაკლი ჯაფარიძე („აზოტი"): კალათბურთი ბევრგან მითამაშია, მაგრამ ასეთ რამეს არსად შევსწრებივარ. ერთი ტაიმი საათზე მეტხანს გაგრძელდა. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, ვიბრძოლეთ და დამსახურებულადაც მოვიგეთ. სტუ კარგი გუნდია და მომავალშიც პრინციპული თამაშები გველის.

რამაზ გოგობერიშვილი („აზოტი"): თამაშითა და გამარჯვებით კმაყოფილი ჩანდა, თუმცა რა გასაკვირია, დაღლილი იყო: ბიჭებმა გამარჯვებისთვის თავი არ დაზოგეს. სტუ ისეთი გუნდია, მასთან იოლ მოგებას არ უნდა ელოდო. უპირველესად სწორედ სტუდენტები შეგვეცილებიან და მათთან მეტი ყურადღებაა საჭირო.

მურმან ქურიძე (მსაჯი): სასიამოვნოა, ასეთი დაძაბული შეხვედრა ექსცესების გარეშე რომ დამთავრდა. დღეს ტექნიკური შენიშვნაც არავის მიუღია, თუმცა უკეთესი იქნებოდა, მოთამაშეებს მსაჯების მიმართ მეტი თავშეკავება გამოეჩინათ. მატჩი კი მშვენიერი სანახავი გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი გაჭიანურდა. ეს ჩვენი ყოფისა და დუხჭირი ცხოვრების ბრალია. სასურველია, ლიდერების შეხვედრას მეტი მაყურებელი ესწრებოდეს. ცარიელ დარბაზში თამაში კი არა, მსაჯობაც ძნელია. გუნდებმა ლამაზი თამაში აჩვენეს, ბრძოლაც ვაჟკაცური გაჩაღდა და ღირსეულმა გაიმარჯვა.

**ზურაბ გონაშვილი**

ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. X ტური. 16-17 დეკემბერი

### A ჯგუფი

**ტაუგრესი 80:60 ავტოდორი**

ტაუგრესი: ანგულო (13), ბენეტი (9), ბერიჩი (18), ესპილი (17), მახოვსკი (10), რუსკონი (4), ვინტერსი (7), ცვიკერი (2)

ავტოდორი: ეინიკისი (9), ფეტისოვი (12), გუსევი, ხიჟნიაკი (4), ხრიაპა (10), მილოსერდოვი (7), ზ. პაშუტინი (7), ე. პაშუტინი (5), შტელმახერსი (6), ჩიკალკინი

**ვარეზე 92:78 ფენერბაჰჩე**

ვარეზე: დე პოლი (2), გალანდა (5), ჯადინი (2), მენეგინი (20), მრშიჩი (23), პოცეკო (27), სანტიაგო (8), ვან ფელსენი, ვესკოვი (3), ზანუს-ფორტი (2)

ფენერბაჰჩე: აბი (6), აფაიდინი (6), ენდენი (2), კალამიზა (7), მაკრეი (8), მილიჩი (26), ტაბაკი (23)

**პო ორტეზი 56:66 ჟალგირისი**

პო ორტეზი: აიშა (8), ევოდო, ფატუ (8), ფუარე (11), დ. გადუ (4), ტ. გადუ (5), გრანტი (12), სხოლტენი (6), სმიტი (2)

ჟალგირისი: ადომაიტისი (6), ბოუი (13), ედნი (12), მასიულისი (14), მასკოლიუნასი, შტომბერგასი (6), ზიდეკი (2), ე. ჟუკაუსკასი (4), მ. ჟუკაუსკასი (9)

### B ჯგუფი

**ეფესი 53:80 პანათინაიკოსი**

ეფესი: აიდინი, ბეშოქი (4), დალი, დრობნიაკი (7), ევლიაოღლუ, ნაუმოსკი (19), სარიჯა (6), სავიჩი (7), თურქოღლუ (10)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (22), ბოდიროგა (15), ბუდურისი, ბურკი, ეკონომუ (13), ფოცისი (2), ჯენტილე (5), ჰუპმანი, პატავუკასი (2), რაჯა (19)

**ცრვენა ზვეზდა 88:60 ტდკ**

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (21), იესტრატიევიჩი (6), პავიჩევიჩი (5), პოპოვიჩი (3), რაკოჩევიჩი (28), სტანოევიჩი (17), ტოპიჩი (8)

ტდკ: კაპდევილა (10), კრეუსი (8), გონსალესი (9), ლავინია, მილი (17), მონტანესი, მოია (6), სინგლა (4), ვასკესი (6)

**ციბონა 78:60 მაკაბი**

ციბონა: ატკინსი (7), გირიჩეკი (19), გრგატი (6), კრსტიჩი (14), მარცელიჩი (7), ნიჩევიჩი (5), პრკაჩინი, ვრანკოვიჩი (20)

მაკაბი: ალექსანდერი (18), გუდესი (2), ჰენფელდი (6), კატაში (14), პოპა (2), სავიონი, შარფი (9), შეფერი (9)

### C ჯგუფი

**ზადარი 79:82 ალბა**

ზადარი: ერცეგოვიჩი (2), ერიავეცი, კოვაჩიჩი (22), ლუისი (2), მუიაჯიჩი (23), ნაგლიჩი (14), პესტიჩი (5), ი. რუჟიჩი (8), ჟორჟი (3)

ალბა: ალექსისი (14), ბოგოევიჩი (2), ფემერლინგი (8), გარისი (23), ჰამინიკი (9), ლუტკე (7), ნაკიჩი, პეშიჩი (3), როდლი (16)

**ოლიმპიაკოსი 74:76 ცსკა**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა, ფასულასი (2), გოლდვაიერი (11), ობერტო (2), პაპანიკოლაუ (22), როჯერსი (11), ტარლაკი (12), ტომიჩი (7), ცალიკისი (7)

ცსკა: დაინეკო (25), კარასიოვი (18), კისურინი, კუდელინი (15), ნოსოვი (9), პანოვი (7), ტიხონენკო, ვეტრა (2)

**ულქერი 49:60 კინდერი**

ულქერი: ალიჰოჯიჩი, ანდერსონი (13), ერდენაი (16), ფირინჯიოღლუ (9), კოტუროვიჩი (2), რენკინი (9), ილდირიმი

კინდერი: აბიო (8), ბინელი (4), კრიპა, დანილოვიჩი (20), ფროსინი (2), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (12), პასპალი, რიგოდო (14)

### D ჯგუფი

**ვილერბანი 77:68 ოლიმპია**

ვილერბანი: ადამსი (8), ბილბა (17), ბლომი (3), დიგბო (16), პალმერი (9), პერსევო, პლუვი, რადი (20), სონკო (4)

ოლიმპია: დანეუ (8), დუშჩაკი (2), იურკოვიჩი (6), კრალევიჩი (6), მაკდონალდი (21), მუტავჯიჩი (4), სტეფანია (12), ტეილორი (4), ზდოვცი (5)

**სამარა 84:77 პაოკ**

სამარა: ანციფეროვი, დოლოპჩი (4), ევანსი (29), გრაჩოვი (16), იაილო (10), კისელიოვი (2), მალცევი (13), საიტანი (1), სავკინი (8)

პაოკ: ბალოიანისი (10), ბერი (18), კოლდებელა (7), კაკიუსისი, კინგი (30), მასლარინოსი (2), მორალესი (3), ნიკოლაიდისი (5), პერალი (2)

**რეალი 65:69 ტიმსისტემი**

რეალი: სანტოსი, ერეროსი (13), ანგულო (20), სტრიულენსი (16), მარტინი, ბერდი (5), იტურბე (2), ლასა (9), ლიუკი

ტიმსისტემი: მაიერსი (21), მულაომეროვიჩი (10), კარნიშოვასი (19), ფუჩკა (15), ბეტსი, პილუტი (2), დილგლაი, ლაცისი (2)

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | — | 64:59 | 70:67 | 80:76 | 97:81 | 77:62 | 8 | 2 | 801:753 | 18 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 99:84 | — | 78:71 | 96:75 | 94:75 | 80:76 | 6 | 4 | 777:756 | 16 |
| 3 | პო ორტეზი | 56:66 | 73:48 | — | 81:71 | 82:67 | 74:71 | 5 | 5 | 751:731 | 15 |
| 4 | ტაუგრესი | 91:97 | 63:57 | 88:84 | — | 75:72 | 80:60 | 5 | 5 | 778:777 | 15 |
| 5 | ვარეზე | 75:84 | 92:78 | 89:77 | 86:78 | — | 95:73 | 4 | 6 | 802:811 | 14 |
| 6 | ავტოდორი | 87:82 | 83:88 | 83:86 | 64:81 | 73:70 | — | 2 | 8 | 732:813 | 12 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | — | 77:63 | 67:58 | 83:70 | 74:58 | 77:71 | 10 | 0 | 750:628 | 20 |
| 2 | ეფესი | 53:80 | — | 81:74 | 80:57 | 82:74 | 73:60 | 7 | 3 | 710:702 | 17 |
| 3 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | — | 76:57 | 81:55 | 78:59 | 4 | 6 | 690:688 | 14 |
| 4 | ციბონა | 61:69 | 76:70 | 78:60 | — | 54:61 | 77:80 | 4 | 6 | 678:712 | 14 |
| 5 | ტდკ | 58:63 | 67:68 | 72:65 | 67:79 | — | 74:59 | 3 | 7 | 646:713 | 13 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 74:76 | 71:72 | 67:70 | 66:69 | 88:60 | — | 2 | 8 | 695:726 | 12 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | — | 55:50 | 74:76 | 58:72 | 71:55 | 94:65 | 8 | 2 | 746:677 | 18 |
| 2 | კინდერი | 67:72 | — | 86:65 | 66:49 | 62:53 | 78:52 | 7 | 3 | 676:587 | 17 |
| 3 | ცსკა | 75:81 | 62:70 | — | 82:76 | 66:68 | 86:75 | 5 | 5 | 752:739 | 15 |
| 4 | ულქერი | 79:89 | 49:60 | 64:91 | — | 62:55 | 76:65 | 4 | 6 | 675:726 | 14 |
| 5 | ზადარი | 55:67 | 55:65 | 82:79 | 73:85 | — | 79:82 | 3 | 7 | 660:717 | 13 |
| 6 | ალბა | 83:85 | 75:72 | 63:70 | 87:63 | 78:85 | — | 3 | 7 | 725:788 | 13 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპია | — | 64:54 | 76:84 | 57:45 | 84:68 | 84:55 | 7 | 3 | 702:649 | 17 |
| 2 | ვილერბანი | 77:68 | — | 77:73 | 71:66 | 80:66 | 92:69 | 7 | 3 | 729:700 | 17 |
| 3 | რეალი | 67:68 | 71:70 | — | 65:69 | 77:69 | 101:72 | 6 | 4 | 795:742 | 16 |
| 4 | ტიმსისტემი | 63:66 | 84:61 | 66:73 | — | 76:61 | 77:58 | 5 | 5 | 676:639 | 15 |
| 5 | პაოკ | 76:68 | 65:69 | 87:75 | 68:59 | — | 85:66 | 4 | 6 | 722:738 | 14 |
| 6 | სამარა | 60:67 | 74:78 | 88:109 | 59:71 | 84:77 | — | 1 | 9 | 685:841 | 11 |

# სტეფანიამ ოლიმპიას პირველობა მოუტანა
# ვარეზეში ქართული სისხლი დაიღვარა


REUTERS ზაგრებიდან

ციბონა — მაკაბი. მასპინძელი ივან გრგატი (9) მაკაბელ ვიქტორ ალექსანდერს გასაქანს არ აძლევს

ვილერბანში მატჩის დამთავრებას წამებილა აკლდა. „ვილერბანი“ 11 ქულას უგებდა „ოლიმპიას“, როცა ბურთი ქართველმა ვლადიმერ სტეფანიამ მიიღო...

პირველი წრის მატჩში სლოვენიელებმა 10 ქულით დაამარცხეს ფრანგები. ახლა ამ უკანასკნელთ 11 ქულით მაინც უნდა მოეგოთ, ჯგუფში პირველ ადგილზე რომ გასულიყვნენ. „ოლიმპიამ“ ჩინებულად დაიწყო და ტაიმი 37:26 მოიგო. შესვენების შემდეგ კი ფრანგებმა 13 უპასუხო ბურთი ჩააგდეს და სამუდამოდ დაწინაურდნენ კიდეც. „ვილერბანის“ ბოლო ორი შეტევა დიგბომ და ადამსმა სამქულიანებით დაასრულეს. ასე მიაღწია სხვაობამ 11 ქულას. მერე კი ბურთი სტეფანიამ მიიღო.

ქართველმა ცენტრმა აუღელვებლად ჩააგდო, „ოლიმპია“ 9 ქულით დამარცხდა და პირველი ჯგუფური ეტაპიც პირველ ადგილზე დაასრულა. სტეფანიამ 27 წუთს ითამაშა, 10-დან 6 ბურთი ჩააგდო. საჯარიმოების სროლისას კი ნამდვილქართულად მოიქცა — ოთხიდან ვერც ერთი უწია მიზანს. საბოლოოდ 12 ქულა და 6 მოხსნა (ორივე გუნდის მოთამაშეებს შორის საუკეთესო შედეგი) — ეს გახლავთ ვოვას მონაგარი.

სტამბოლის „ფენერბაჰჩე“ იტალიურ „ვარეზეს“ შეხვდა და პირწმინდად წააგო. თურქები პოცეკომ და მრშიჩმა გააწამეს. მეორე ტაიმის საწყისი ორი წუთი 11:0 დასრულდა „ვარეზეს“ სასარგებლოდ, მატჩის ბედიც ამ ეპიზოდმა გადაწყვიტა — იტალიელები 21 ქულას იგებდნენ. „ფენერბაჰჩეს“ რიგებში შედარებით დიდხანს ითამაშა ზაზა ენდენმა (ენდელაძე). ბევრი ქულა-მოხსნა არ მიუთვლია, სამაგიეროდ მარჯვენა მკლავზე ორიგინალური „ნაკოლკის“ მქონემ თავგანწირვით ითამაშა. ერთ-ერთ მომენტში ისეთი აზარტით იბრძოლა ძირს დაგდებული ბურთისთვის, რომ ვარეზეს სპორტული დარბაზის მოკრიალებულ იატაკზე მარჯვენა მუხლი გადაიყვლიფა და სისხლისღვრის შესაჩერებლად ერთხანს თამაშის მიტოვება მოუხდა.

კვლავ იმარჯვა და ჯგუფის გამარჯვებული გახდა „ჟალგირისი“. ლიტვური გუნდი მეორე ეტაპიდან შესაძლოა მკვეთრად გაძლიერდეს: მისმა აღზრდილმა, ამჟამად „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ცენტრმა არვიდას საბონისმა, ნბა-ში ლოკაუტის მძვინვარების გამო ცოტა ხნით „ჟალგირისში“ დაბრუნება გადაწყვიტა. საბონისის (რომელიც გუშინ გახდა 34 წლის) დაბრუნების შესახებ „ჟალგირისის“ გენერალურმა მენეჯერმა განის რუტკაუსკასმა თქვა: „გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ამის შესაძლებლობა არსებობს. ერთი კვირა დაცდა მოგვიწევს“. თუკი საბონისი მართლა ითამაშებს „ჟალგირისში“ და ნბა-ს სეზონიც არ დაიწყება, ლიტვური გუნდი ევროლიგის ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად იქცევა.

ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ რა დღეც აყარა თურქულ „ეფესს“, უკვე მოგეხსენებათ. ახლა სტატისტიკაზე ვთქვათ: „პანათინაიკოსმა“ ყველაფერში აჯობა მეტოქეს: ფარი — 27:21, პასი — 14:8, ჩაგდებულ ბურთთა პროცენტი — 68:40. ერთს დავამატებთ, ამჟამად ბერძნები ევროლიგის ყველაზე სოლიდური გუნდია, რაც შედეგებშიც აისახება.

ერთადერთი ქულა დააკლდა „ციბონას“ და მეორე ეტაპზე სუსტ მეტოქეებთან მოუხდებოდა ჭიდილი. ამ გუნდმა „მაკაბისთან“ პირველი მატჩი 19 ქულით წააგო (57:76), საპასუხო კი 18 ქულით მოუგო (78:60). ერთი ქულაც და... ახლა უკვე „მაკაბი“ შეხვდება შედარებით სუსტებს.

„ოლიმპიაკოსის“ და ცსკა-ს შეხვედრებთან ყოველთვის რაღაც უცნაურობებია დაკავშირებული. ხან არაფრისგან რომელიმე გუნდი მოიწამლება ხოლმე, მერე, ერთი კვირის განმავლობაში ჯერ ერთი მოიგებს 30 ქულით, მერე მეორე — ორმოცით. ბოლო ტურის წინ ცსკა ყველას გამოტირებული ჰყავდა, მათ შორის ულტრაშოვინისტურ რუსულ მედიასაც, მაგრამ ჩავიდნენ არმიელები პირეოსში და მოიგეს. ალბათ, ძალიან უნდოდათ და იმიტომ. რას, რას, და, ბრძოლისუნარიანობას რუსის სალდათებს ვერ დაუწუნებ. ამით ცსკამ ყველა დანარჩენ მატჩს აზრი დაუკარგა. იმ თვალსაზრისით, რომ მესამეადგილოსნის ვინაობა გაარკვია. „ულქერს“ აღარაფერი შველოდა, მაგრამ „კინდერთან“ შინ მაინც შეირცხვინა თავი. საერთოდ, ამ ორი შოკოლადის მწარმოებელი ფირმების გუნდების მატჩი მთლად ტკბილი ვერ გამოდგა: გაბრაზებულმა თურქმა მაყურებლებმა შოკოლადის გარდა ყველაფერი დაუშინეს კინდერელებს: მონეტები, კვერცხები, კენჭები. იტალიელებს პოლიციამ უშველა — დიდი ფარები მოიმარჯვა და კალათბურთელებს გასახდელამდე ერთგვარი ტალავერი გაუკეთა.

რაც „ევროსტარის“ დასავლეთის გუნდის მწვრთნელად „ალბას“ დამრიგებელი სვეტოსლავ პეშიჩი დანიშნეს, მის გუნდს რაღაც დაემართა — მესამე თამაში მოიგო. როგორც იქნა, გაიმარჯვა აქამდე გაუხარელმა რუსულმა „სამარამ“ და ევროლიგის გათამაშებაში უკვე აღარ არის გუნდი, ვისაც გამარჯვება არ დაეგემოვნებინოს.

**კახა ხურციძე**



REUTERS სტამბოლიდან

ულქერი — კინდერი. იტალიელები თურქი მაყურებლის რისხვისგან თურქმა პოლიციელებმა დაიფარეს

**მეორე ჯგუფური ეტაპი. 7 იანვარი — 18 თებერვალი**

| E ჯგუფი | F ჯგუფი |
|---|---|
| ჟალგირისი | პანათინაიკოსი |
| ფენერბაჰჩე | ეფესი |
| პო ორტეზი | მაკაბი |
| ციბონა | ტაუგრესი |
| ტდკ | ვარეზე |
| ცრვენა ზვეზდა | ავტოდორი |

| G ჯგუფი | H ჯგუფი |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | ოლიმპია |
| კინდერი | ვილერბანი |
| ცსკა | რეალი |
| ტიმსისტემი | ულქერი |
| პაოკ | ზადარი |
| სამარა | ალბა |

*გუნდები, რომლებიც პირველი ეტაპისას ერთ ჯგუფში იყვნენ, მეორე ეტაპზე ერთმანეთს აღარ ხვდებიან.*

# იქით ქალთა ოხვრა-კვნესა იყო, აქეთ ქურდთა თარეში

ერთ დროს თბილისში ვაკის აუზში წყალბურთელთა სსრ კავშირის ჩემპიონატების ტურებზე ბლომად დამსწრე მშვენიერთა სქესის წარმომადგენელთაგან არაერთხელ გვსმენია ასეთი დიალოგი.

— აბა, რომელია ვოვა ისელიძე?

— აი, ის, №7.

— დედაა, მართლა რა სიმპათიურიაა?!

ის №7 წლეულს ორმოცდაათისა გახდა, ორი შვილიშვილის ბაბუაა, მაგრამ მას მერე, რაც აქტიურ სპორტს გამოეთხოვა, სულაც არ შეცვლილა. ეგაა, თმა ოდნავ შევერცხლია.

გუშინ რომ მოვინახულეთ, ის ყურმოკრული დიალოგი გაგვახსენდა.

— კი მაგრამ, ცოლი არ ეჭვიანობდა იმ გოგოების ოხვრა-კვნესაზე? — ვეკითხები ვლადიმერ ისელიძეს.

— ეჭვიანობდა, აბა, რა დაემართებოდა? თბილისში გამართულ მატჩებს თითქმის მუდამ ესწრებოდა და იმ დიალოგისთვის მასაც მოუკრავს ყური, მაგრამ იგი ეჭვიანობის გამო კი არ დადიოდა აუზზე. მეც და ჩვენს გუნდსაც გვგულშემატკივრობდა და ყველაფერს განიცდიდა. მეც ხშირად დამყავდა შეჯიბრებებზე მოსკოვში, ლენინგრადში თუ სხვაგან.

ჰო, წლეულს ვლადიმერ ისელიძე ორმოცდაათისა გახდა-მეთქი. ამის გამო იგი მრავალ გაზეთს გახსენებია და დიდ-დიდი წერილებიც გაუმანშალებიათ, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ერთის გარდა ყველას ავტორი ქალია. უფრო საინტერესო ისაა, რომ მათ თხზულებებს ლაიტმოტივად გასდევს ავტორთა ძველებური „ოხვრა-კვნესა“.

ამ „კვნესის“ ადრესატმა თავადაც ამოიოხრა და გვითხრა, ორმოცდაათისა რომ გავხდი, მეგობრებისა და ახლობლების გარდა ჟურნალისტებმაც გამიხსენეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებმაც, მაგრამ საქართველოს სპორტის დეპარტამენტს საერთოდ გადავავიწყდიო.

გადასავიწყებელი კი ნამდვილად არ არის.

ვლადიმერ ისელიძე წლების განმავლობაში თანაგუნდელთა სული და გული იყო. ბევრჯერ გვინახავს ისელიძე მეტოქეთა საუკეთესო მცველებთან პირისპირ მებრძოლი და გამარჯვებული. იმასაც არაერთხელ შევსწრებივართ, როგორ დაუხევია უკან და მეტოქეთა წინაშე ბასტიონივით აღმართულა. თავისი გუნდის თამაშის სადავეები ხომ ნიადაგ ხელთ ეპყრა. ერთადერთი ამპლუა, რომელშიც ისელაძე არ გვინახავს, მეკარეობა იყო.

ასე გრძელდებოდა თხუთმეტი წელი.

— ამ ხნის მანძილზე „დინამოში“ ბარე ხუთი თაობა გამოვიცვალე, — გვეუბნება ვლადიმერ ისელიძე.

გვახსოვს, თბილისის „დინამოს“ ახალბედა წყალბურთელები შენატროდნენ, ნეტა ისელიძესავით გვათამაშაო.

— ყველა ახალბედა სპორტსმენს ჰყავს თავისი იდეალი. გივი ჩიქვანაიას თამაშით მუდამ გაოცებული ვიყავი— იხსენებს ისელიძე— ბურთს ისე ჩამომაწოდებდა ხოლმე, შეუძლებელი იყო, არ გამეტანა. მაშინ, 1965 წელს ცხონებულმა ნოდარ გვახარიამ „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდში რომ მიმიწვია, სიხარულით ცას ვეწიე. იქ ისეთი სახელგანთქმული წყალბურთელები თამაშობდნენ, მათ გვერდზე ყოფნას ვერც ვიოცნებებდი. თავად ნოდარ გვახარია მელბურნის ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი იყო, გივი ჩიქვანაია რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორად დამხვდა და მერე მეხიკოშიც ასეთსავე წარმატებას მიაღწია... ახლა ლერი გოგოლაძეს აღარ იკითხავ? ის რომ კარში იდგა, თანაგუნდელებს ბურთის გაშვების შიში აღარ გვქონდა და უფრო თამამად ვთამაშობდით. ასე იყო საკავშირო ნაკრებშიც, რომლის წევრებთან ერთად რომის ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა.

მერე და მერე, როცა ვლადიმერ ისელიძე მათსავით დაოსტატდა, ახლა იგი გახდა გუნდის ახალწვეულთა ეტალონი.

— სხვათა შორის, პირველად რომ აუზში მივედი, ცურვის ბაიბურშიც არ ვიყავი, დედაჩემი გადაირია, ემანდ ბავშვი არ დამიხრჩონო, — იხსენებს ისელიძე — ბავშვობაში მთელი ჩვენი უბნის ბიჭები ფეხბურთზე დადიოდნენ. იმათ ფეხის ხმას მეც ავყევი, მაგრამ მშობლებმა თავი დამანებებინეს. ყოველდღე დიდუბიდან ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩემი წაყვან-წამოყვანის დრო არ ჰქონდათ. იმხანად მე-60 სკოლაში ვსწავლობდი. ერთი ჩემი თანაკლასელი კალათბურთზე დადიოდა. მე და ჩემს ერთ მეგობარს შეგვიჩნდა, კალათბურთზე იარეთო. დავიწყეთ ვარჯიში, ჯერ მე-60 სკოლაში, მერე პიონერთა სასახლეში. ჩვენი სკოლის კალათბურთელთა გუნდი საუკეთესო გახდა ქალაქის საშუალო სკოლებს შორის. ბევრჯერ ყველა მეტოქისთვის გვიჯობნია და პირველ ადგილზეც გავსულვართ. ამაში საკვირველი არაფერი იყო. ის ჩემი მეგობრები ცნობილი კალათბურთელები გახდნენ, ლევან ჩხიკვაძემ და თამაზ ჩიხლაძემ თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული კალათბურთის განვითარებაში.

ვლადიმერ ისელიძე
დაიბადა თბილისში, 1948 წლის 25 იანვარს.
არის სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, შსს პოლკოვნიკი. 1965- დან 1981 წლამდე თამაშობდა თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდში. იყო მისი კაპიტანი.
არის სსრ კავშირის ჩემპიონატის (1966 წ.) ბრინჯაოს პრიზიორი, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის (1967) მესამე პრიზიორი, VII სპარტაკიადის (1979) ვერცხლის მედალოსანი; სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იყო მსოფლიოს უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1970, 1973), ახალზელანდიური თამაშების (1975) ჩემპიონი; იმავე გუნდთან ერთად მოიპოვა შიოტურის (1978) გარდამავალი თასი; მონაწილეობდა მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში (VIII ადგილი).
1972 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი, 1986 წელს სსრ კავშირის შსს აკადემია.
მუშაობს საქართველოს შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.
ჰყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი და ამდენივე შვილიშვილი.



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ვლადიმერ ისელიძესაც იგივე შეეძლო, რადგან მას საამისოდ ყველა მონაცემი ჰქონდა — მაღალი იყო და რაც მთავარია, როგორც რუსები იტყვიან, ბურთთანაც შენობით იყო.

მაგრამ ვლადიმერ ისელიძე კალათბურთელებმა დაკარგეს და... მოცურავეებმა იპოვეს.

— მაშინ, 62 წლის იმ ზაფხულს აუზში მე და ჩემი მეგობარი პაპანაქება სიცხემ მიგვიყვანა. სანაპიროზე, ახლანდელ რესტორან „არაგვის“ ადგილზე მშვენიერი აუზების კომპლექსი იყო. ცხადია, არავინ შეგვიშვებდა და გადავიპარეთ. 14 წლისა ვიყავი, მაგრამ, როგორც გითხარით, ცურვა არ ვიცოდი. ამიტომ მხოლოდ „საჭყუმპალაოში“ ვინებივრეთ. მერე მზეს მივეფიცხეთ და მოცურავეთა წვრთნას თვალს ვადევნებდით. ისე ლამაზად ცურავდნენ, რომ შეგვშურდა. მე და ჩემმა მეგობარმა რაღაც არასრულფასოვნება ვიგრძენით. ჰოდა, ცურვის სწავლა ორივემ მტკიცედ გადავწყვიტეთ.

მერე ხან ერთ მწვრთნელს დავეძრიჯეთ, ხან მეორეს, სექციაში ჩაგვწერეთო. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი მეზობელი ჩაწერეს, მე არა. მითხრეს, ჯერ ერთი, უკვე დიდი ხარ, შენგან აღარაფერი გამოვა, მეორეც, მატყუარა ყოფილხარ — 14 წლისა კი არა, მეტისა იქნებიო. მაღალი ვიყავი და ამიტომ ფიქრობდნენ, ცრუობსო. გულმოკლულმა შინისკენ გავწიე. აუზის კართან ვიღაც კაცმა შემაჩერა. ამხედ-დამხედა და... ყურები რას ჩამოგიყრიაო, მკითხა. ის კაცი ჩემი მომავალი მწვრთნელი, ვლადიმერ ბარნაბიშვილი იყო. ცურვა მალე მასწავლა. ერთ წელიწადში მეორე თანრიგოსანი გავხდი. მერე 50 მეტრზე თავისუფალი სტილითა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საქართველოს მოსწავლეთა რეკორდებიც დავამყარე.

ბარნაბიშვილი წყალბურთელთა მწვრთნელი იყო, მაგრამ მას ვლადიმერ ისელიძეში მომავალი დიდი მოცურავე უფრო დაუნახავს. ჰოდა, ისიც მოცურავედ ზრდიდა, მაგრამ ისელიძე თურმე უკვე წყალბურთელობაზე ოცნებობდა.

— ბარნაბიშვილის განზრახვა რომ გავიგე, ქვა ავაგდე — ან წყალბურთი, ან არაფერი-მეთქი. რაღას იზამდა, წყალბურთში დამაწყებინა ვარჯიში. მალე მოსწავლეთა ნაკრებში მიმიწვიეს. მის შემადგენლობაში ერევანში ვითამაშე და 7 ბურთი გავიტანე. იქ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ჩემი თამაში რომ ნახა, უმალ გუნდში მიმიწვია, სულ კი ახალბედობიდან „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდში დამკვიდრებამდე 3 წელიწადი დამჭირდა...

— ჩემი ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი? — კითხვას გვიბრუნებს ისელიძე და წამით ჩაფიქრების მერე იხსენებს — ეს იყო მონრეალის ოლიმპიურ თამაშებამდე, 1975 წელს. მაშინ საკავშირო ნაკრებში ვიყავი მიწვეული და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მის სხვა წევრებთან ერთად ვემზადებოდი, მაგრამ ბოლოს ჩემ თავს მოსკოვის დინამოელი საშკა როდიონოვი ამჯობინეს, მე კი მასზე ძლიერად მიმაჩნდა თავი და ახლაც ასე ვფიქრობ. დარწმუნებული ვარ, საკავშირო ნაკრების უფროსი მწვრთნელი ანატოლი ბლუმენტალიც ამავე აზრისა იყო, მაგრამ გუნდში ჩემი დაყენება არაფრით უნდოდა. საქმე ის იყო, რომ ერთხელ, 1968 წელს მოლდოვაში შეკრებაზე ყოფნისას მე და საკავშირო ნაკრების მოსკოველ დინამოელი წევრი ვიაჩესლავ სკოკი წავკინკილავდით. მერე შემაგინა და, მართალია, ხუთი წლით უმფროსი კი იყო, მაგრამ კაი გემოზე დავალილავე. სკოკი თურმე ბლუმენტალის „ლუბიმჩიკი“ მოთამაშე იყო. ეს ყველაფერი ახსოვდა ბლუმენტალს და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ დავეჩაგრე. მსაჯებს მითითებებსაც კი აძლევდა. მოსკოველი ბელოვი მის დავალებებს ყველაზე პირნათლად ასრულებდა. ამ კაცმა ერთხელ ისე გადამრია, რომ თამაში მივატოვე, წყლიდან ამოვხტი და გასალახად გამოუდექი. ამის გამო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება ჩამომართვეს, რაც 1973 წელს დამიბრუნეს, როცა მსოფლიო უნივერსიადა მოვიგეთ.

ასე იყო თუ ისე ეტყობა, ბლუმენტალმა ეს ამბები გაიხსენა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდში ჩემს ნაცვლად საშკა როდიონოვი დააყენა. ჰოდა, აი, 1975 წელს კიევში დინამიადა ტარდება. მოსკოველებთან შეხვედრის წინა საღამოს, როგორც იტყვიან, სპორტული რეჟიმი დავარღვიე — ჩემდა ჭირად სასტუმროში გვიან დავბრუნდი. მაშინ როსტომ ჩაჩავა გვავარჯიშებდა და ცხადია, ერთი კარგად შემაფუცხუნა, ბოლოს და ბოლოს, ხომ იცი, ხვალ ვის წინააღმდეგ უნდა ითამაშოო. ვუთხარი, ოღონდ ახლა აღარ მეჩხუბო, ძილი მაცალე და ხვალ მე ვიცი, რასაც ვიზამ-მეთქი — როდიონოვთან ანგარიშის გასწორებას ვგულისხმობდი. ეს ჩემთვის ძალზე პრინციპული იყო და როდიონოვს პერსონალურად ვეთამაშე. ხელი არ გავანძრევინე. მოსკოველებს 5 ბურთი გავუტანე, როდიონოვს კი ამის საშუალება ერთხელაც არ მივეცი. მაშინ მოსკოველებს გივი ჩიქვანაია და ბორის გრიშინი ავარჯიშებდნენ. გრიშინი ჩემი და როდიონოვის დუელზე ისე გაცოფდა, რომ თამაშის დამთავრებას აღარ დაუცადა, გაგიჟებული აუზიდან გავარდა, ჩიქვანაია კი ხმის ჩახლეჩამდე ამაოდ არიგებდა როდიონოვს და სხვებსაც, ასე და ასე ითამაშეთო.





ისელიძის ასეთმა თავგამოდებამ, სხვა უამრავ შეხვედრაში საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზების მოპოვებამ, ბომბარდირობამ, დაცვაშიც ბრწყინვალედ მოქმედებამ და თანაგუნდელთა „დირიჟორობის“ შესანიშნავმა უნარმა საკავშირო ნაკრების მწვრთნელთა გული ბოლომდე მაინც ვერ მოიგო. ან როგორ მოიგებდა, როცა ნაკრებში ერთხელაც მიწვეულს მეორე მწვრთნელად თავისი გალახული სკოკი დახვდა?

1979 წელს საკავშირო სპარტაკიადაზე, რომელიც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს უსწრებდა, საქართველოს ნაკრებმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩვენი აზრით, ეს ქართველ წყალბურთელთა გუნდის ყველაზე დიდი წარმატება იყო, რადგან მაშინ სპარტაკიადაზე სხვა ქვეყნების ძლიერი გუნდებიც მიიწვიეს და მოსკოვის საოლიმპიადოდ თავისებური გენერალური რეპეტიცია ჩაატარეს. მაშინ ჩვენმა წყალბურთელებმა რუსეთის ნაკრებთან ფრედ ითამაშეს, უკრაინის, ესპანეთისა და რუმინელების გუნდებს მოუგეს, ფინალში მოსკოველებთან კი 5:6 დამარცხდნენ. მაშინ ისელიძე და მოსკოველი გიორგი მშვენიერაძე 13-13 ბურთით ბომბარდირები გახდნენ. ისელიძეს საოლიმპიადოდ ნაკრებში თითქოს წინ ველარაფერი დაუდგებოდა, მიიწვიეს კიდევ გუნდში და მასთან ერთადაც ემზადებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში მის თავს რისმანი და ახალგაზრდა გრიშინი (დიდი გრიშინის შვილი) ამჯობინეს — ნაკრების მწვრთნელი სკოკი იყო, უფროსი მწვრთნელი კი ბორის პოპოვი — ისიც ისელიძეზე ერთ დროს (როცა ნაკრების მოთამაშე მწვრთნელი იყო) განაწყენებული (თუმცა ამ კაცს მერე ბოდიშის მოსახდელად მაინც ეყო ვაჟკაცობა).

ისელიძემ ერთხელ მაინც იასპარეზა ოლიმპიურ თამაშებზე. ეს მოხდა მონრეალში, სადაც გუნდმა VIII ადგილი ძლივს დაიკავა.

— მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი გადაბერებული იყო, მაინც კარგ ფორმაში ვიყავით, მაგრამ ბლუმენტალმა კანადში ერთთვიანი შეკრება სხვა გუნდებივით იმ აუზში კი არ მოგვიწყო, სადაც ოლიმპიადა ტარდებოდა, არამედ ოტავის ერთ პატარა აუზში, სადაც თავგი კუდსაც ვერ მოიქნევდა. იმ „საჭყუმპალაოში“ ფორმა მთლად დავკარგეთ. მერეღა გავიგეთ, რომ ბლუმენტალს თურმე ოტავაში შეკრება პირადი გამორჩენისთვის ხელს აძლევდა, რასაც გადააყოლეს კიდეც და ლამის დაიჭირეს.

ასე დაკარგა ისელიძემ მრავალი მედალი, ხოლო ის, რაც სხვა თასებთან, პრიზებთან და ჯილდოებთან ერთად მოიპოვა, ჯერ კიდევ სპორტსმენობისას ქურდებმა მისი ბინის გაძარცვისას ხელს გააყოლეს...

**ავთანდილ გურასაშვილი**



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ვლადიმერ ისელიძეს პიჯაკიც უხდება, ჩოხა-ახალუხიც და წყალბურთელის ქუდიც

# პარიზს ოლიმპიადაც მოუნდა

იმ ქალაქ-პრეტენდენტებს, რომლებიც 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას ცდილობენ, პარიზიც მიემატა.

მანამდე კანდიდატთა შორის იყვნენ პეკინი, კუალა ლუმპური, ოსაკა და ტორონტო. სხვათა შორის, კანადელთა საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარე ენტონი ბრიუნე ამავდროულად NHL-ის ერთ-ერთი კლუბის „ოტავა სენატორზის" დირექტორატის წევრიცაა. მისი თქმით, იმაში, რომ პარიზმა პრეტენდენტობა ისურვა, საფრანგეთში ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვამ დაიდო წილი.

გუშინ კი პრესკონფერენცია გამართა პარიზის მერმა ჟან ტიბერიმ. მან ოფიციალურად წარუდგინა ჟურნალისტებსა და სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებს ახალი პრეტენდენტი და მისი სამომავლო გეგმები.

— ჩვენი ამბიციები არცთუ უსაფუძვლოა — განაცხადა ტიბერიმ — პარიზის დამსახურება ოლიმპიზმის წინაშე ცნობილია, ჩვენი ქალაქი ახლაც მზადაა ამ მეტად საპასუხისმგებლო მისიის საკისრებლად. ტიბერიმ დამსწრეთ ისიც აუწყა, რომ საარჩევნო კომიტეტის ხელმძღვანელად დანიშნულია ფალიპ ბურინიონი.

ბურინიონს პარიზში ერთ-ერთ ყველაზე მარიფათიან საქმოსნად იცნობენ. დიდი ტურისტული სააგენტოს ეს მფლობელი სპორტის თავგამოდებული ქომაგი და შემწე გახლავთ. მას ბევრჯერ გაუღია დიდძალი ფული ამა თუ იმ სპორტული პროექტის განსახორციელებლად. ეგაა მხოლოდ, მისი გულუხვობა არცთუ იშვიათად უნაყოფო გამომდგარა.

პარიზის საარჩევნო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიური ჩემპიონები გი დრუ და ჟან-კლოდ კილი, რომლებიც საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის წევრებიც არიან. დრუ მონაწილეობდა 1992 წლის საარჩევნო კამპანიაშიც, რომელიც პარიზელთათვის სამწუხაროდ ბარსელონას გამარჯვებით დასრულდა, იმ ქალაქისა, რომელშიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ცხოვრობს. გი დრუ ადრე ქვეყნის სპორტის მინისტრიც იყო და მისი მინისტრობისას ფრანგული ლილი 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობას ეცადა, თუმცა ათენთან ლილმა კი არა, სხვა უფრო მომზადებულმა კანდიდატებმაც ვერაფერი გააწყვეს.

ჟან ტიბერის აზრით, პარიზს გამარჯვების ძალზე რეალური შანსი აქვს. მანვე აღნიშნა, რომ აღარ განმეორდება ის შეცდომები, რომლებმაც ქალაქს 1980 და 1992 წლების საარჩევნო კამპანია წააგებინა.

ორი მთავარი ნაგებობა, რომელთა შენებაც პარიზში მალე დაიწყება, იქნება განახლებული ველოდრომი და საცურაო აუზი, რომელთა ტრიბუნები 10-10 ათას კაცს დაიტევენ. ცხადია, დაიგეგმა ოლიმპიური სოფელიც, რომელიც პარიზის ჩრდილოეთით გაშენდება.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ პარიზი ორჯერ, 1900 და 1924 წლებში უკვე იყო ოლიმპიური თამაშების მასპინძელი.

**ზურაბ თალაქვაძე**

**2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორებს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავს. მიზეზი უკვე საკმაოდ გახმაურდა — ისინი საარჩევნო კამპანიის დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრების მოსყიდვაში დაადანაშაულეს.**

**სანამ სოკ-ი სოლტ ლეიკ სიტის საარჩევნო საქმიანობას ოფიციალურად იძიებს, სულ უფრო რეალური ხდება იმის საშიშროება, რომ ეს სკანდალი ოლიმპიადისთვის სამზადისსაც დაატყობს კვალს.**

# მექრთამეებს ჯოჯოხეთი ელით

„სოლტ ლეიკ სიტის საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ოლიმპიადისა და კრიმინალური საქმიანობის გასამიჯნად. — განაცხადა იუტას გუბერნატორმა მაიკ ლივიტმა — მე და იუტას მოქალაქენი სრულიად ვენდობოდით საარჩევნო კომიტეტს, გვეგონა, კამპანია კანონიერად მიმდინარეობდა".

შეგახსენებთ, რომ ამერიკელთა ცოდვა ერთი შეხედვით მხოლოდ ზედმეტ სტუმართმოყვარეობაში გამოიხატება: 1995 წელს მათ სასწავლო-სავარჯიშო შეკრება მოაწყვეს 13 ადამიანისთვის, რომელთაგან 6 რატომღაც სოკ-ის წევრების ახლო ნათესავი იყო. ამის გათვალისწინებით კი მათი დიდსულოვნება საეჭვოდ ემსგავსება კანონის დარღვევას — სოკ-ი თავის წევრებს 150 დოლარზე ძვირი საჩუქრისა თუ მომსახურების მიღებას უკრძალავს, შეკრება კი დაახლოებით 400 ათასი დაჯდა.

„სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის რეპუტაცია ამით საგრძნობლად შეილახა, ამ სკანდალის შემდეგ ხალხი ნაკლებად ენდობა მას" — აღნიშნა მოქალაქეთა სადამკვირვებლო ჯგუფის „იუტელები ყაირათიანი ხარჯვისთვის" თავკაცმა სტივენ პეისმა.

თავად საორგანიზაციო კომიტეტის წევრები შვეიცარიიდან სამშაბათ ღამით დაბრუნდნენ და გამოძიებას სრული თანამშრომლობაც აღუთქვეს, მისმა პრეზიდენტმა ფრენკ ჯოვლიკმა კი განაცხადა: „ჩვენი უმთავრესი მიზანი ამჟამად ამ პრობლემის მოგვარება და 2002 წლის ოლიმპიური თამაშების დაგეგმვა-ორგანიზაციაზე შეძლებისდაგვარად სწრაფად გადასვლაა".

თუმცა ამჟამად დაშლილ კომიტეტს შესაძლოა მხოლოდ თანამშრომლობა არ აკმარონ. „თუ პარასკევს აღმასრულებელი საბჭოს შეხვედრაზე ისინი გულწრფელად და სრულად არ მოგვახსენებენ ყველაფერს, საქმეში კანონი ჩაერევა და მთელი სიმკაცრითაც" — განაცხადა კამასის ოლქის სამართალდამცავი ორგანოების თავკაცმა დევიდ იურმა. ამ ოლქის ტერიტორიაზე ოლიმპიური ნაგებობების ნახევარზე მეტი მდებარეობს.

**კახა არჯევანიძე**



# ქართველები ვოლგის წყალს გაუშინაურდნენ

გუშინ ვოლგოგრადიდან თბილისში დაბრუნდნენ საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრები, რომლებიც რუს თანატოლთა ღია ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში მონაწილეობდნენ. ჩვენმა ბიჭებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ასტრახანის „სპარტაკი" (8:3), ყაზანის სპორტსკოლა (7:4), ნიჟნი ნოვგოროდის „დელფინი" (8:3) და მასპინძელთა მეორე გუნდი (9:3). შეჯიბრების ბოლო დღეს, როცა ჩვენებს მომდევნო ეტაპზე გასვლა განაღდებული ჰქონდათ, მასპინძელთა პირველ ნაკრებთან 6:8 წააგეს. საბოლოოდ, ჩვენებმა ქვეჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს მასპინძლების შემდეგ და მომდევნო ეტაპზე სათამაშოდ გაისად, თებერვალში ისევ ვოლგოგრადს ესტუმრებიან.

**საქართველოს რაგბის კავშირი სამძიმარს უცხადებს „ექსპრესის" მწვრთნელს თემურ ბენდიაშვილს დედის გარდაცვალების გამო**



# რეი ბურკი ათასებს ითვლის

17 დეკემბერი

**ბოსტონი — ოტავა 5:2**

2:1 1:0 2:1

1:0 აქსელსონი 0'23 (4); 1:1 იუჰანსონი 5'48 (11); 2:1 ტორნტონი 7'45 (3); 3:1 სამსონოვი 26'18 (10); 3:2 მაკიჩერნი 33'33 (11); 4:2 დიმაიო 53'48 (1); 5:2 ხრისტიჩი 57'38 (14)

ეს ისეთი თამაში იყო, რომლის საბოლოო შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი ერთი ჰოკეისტის მიღწევა გახლდათ. უკვე ლეგენდად ქცეული 38 წლის რეი ბურკი, ვისი ლიგური კარიერაც მთლიანად ბოსტონთანაა დაკავშირებული, თავის 1400-ე მატჩს ატარებდა, რაც ნჰლ-ის ისტორიაში მხოლოდ 9 მოთამაშეს გაუკეთებია, მოქმედ ჰოკეისტთაგან კი ოდენ უეინ გრეცკისა და ლარი მერფის. ყურადღების ცენტრში მყოფმა იუბილარმაც ძალ-ღონე არ დაიშურა იმის დასამტკიცებლად, რომ ასაკის მიუხედავად კვლავაც „დათვების" ლიდერია. მართალია, მან გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ერთხელ მისი ზუსტი გადაცემა ჯო ტორნტონმა დააგვირგვინა, ხოლო მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე, როცა რეის მიერ უძლიერესად დარტყმულ შაიბას დიმიტრი ხრისტიჩმა ოდნავ შეუცვალა მიმართულება, სტადიონმა ბურკს ოვაცია მოუწყო — იგი ხომ თავისი 1049-ე პასით მესამე ადგილზე მყოფ გორდი ჰოუს გაუტოლდა. წინ მხოლოდ გრეცკი (1937) და პოლ კოფი (1091) არიან.

„ასეთი შედეგისთვის რომ მიმეღწია, ოცი წლის განმავლობაში დაუღალავად ვშრომობდი. თუმცა არაფერი გამოვიდოდა, კლუბისადმი ჩემი ერთგულება რომ არ დაფასებულიყო" — თქვა მატჩის შემდეგ ბოსტონელთა კაპიტანმა.

**სენტ ლუისი — ფინიქსი 3:2**

1:1 1:1 1:0

1:0 რიზონერი 10'12 (2); 1:1 ნუმინენი 14'09 (6); 1:2 ტოკეტი 25'37 (10); 2:2 პელერინი 36'49 (4); 3:2 დემიტრა 56'39 (15)

ცხადია, „კოიოტთა" წარმატება-წარუმატებლობა ერთ მოთამაშეზე სულაც არ ჰკიდია, მაგრამ ფაქტია — კეიტ ტკაჩუკის არყოფნაში ფინიქსმა ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. თანაც, ისევე, როგორც ტორონტოსთან, სტუმრები ამჯერადაც იგებდნენ, მერე კი, ბოლო წუთებში სულ ოთხი მცველით დარჩენილ მასპინძლებს (გუნდის კაპიტანი კრის პრონგერი უხეშობისთვის გააძევეს, ხოლო კრის მაკელპინი დაშავდა) გამარჯვება გადაულოცეს.

**ვანკუვერი — კოლორადო 2:1**

0:0 1:1 1:0

0:1 კორბე 22'26 (5); 1:1 ნესლუნდი 31'59 (15); 2:1 ოკუანი 57'45 (9)

კოლორადოს საფიქრალ-საწუხარი არ ელევა. დაცვაში არსებულ პრობლემებს (ამ ამპლუის მოთამაშეთა უმეტესობა დაშავებულია) წამყვანი ფორვარდების პეტერ ფორსბერგის და ჯო საკიკის ტრავმებიც დაემატა. სტუმრები კი, იმის ნაცვლად, რომ ეფრთხილათ, მატჩის დაწყებისთანავე ჩხუბში აჰყვნენ მასპინძლებს და უმცირესობაში ორი შაიბაც გაუშვეს. ამ შეხლა-შემოხლაში კოლორადოელებმა მეომარი უორენ რაიხელიც დაკარგეს, რომელმაც მარცხენა ხელი იტკინა.

**ფილადელფია — კალგარი 3:3**

0:0 2:0 1:3 0:0

1:0 სვობოდა 29'51 (4); 2:0 რენბერგი 33'13 (5); 2:1 უილმი 41'29 (2); 3:1 ბიურო 42'28 (2); 3:2 შანცი 43'18 (7); 3:3 სტილმანი 46'59 (10)

მეორე პერიოდში, როცა მასპინძლები 2:0 იგებდნენ, ერიკ ლინდროსს ნერვებმა უმტყუნა და თავის პერსონალურ მეურვე კრეიგ ჰალსთან მუშტი-კრივით მოიოხა გული. ამის მერე „მფრინავებს" საქმე ცუდად წაუვიდათ და საბოლოოდ ქულაც დაკარგეს.

**ჩიკაგო — ვაშინგტონი 1:3**

1:0 0:1 0:2

1:0 მენსონი 17'05 (2); 1:1 გონჩარი 20'55 (2); 1:2 კონოვალჩუკი 58'47 (4), 1:3 ბონდრა 59'55 (12)

მასპინძლები აქაც დაისაჯნენ უხეშობისთვის და თუ მესამე პერიოდის დასაწყისში ოთხწუთიან უმცირესობას გაუძლეს, მატჩის მიწურულს მაიკ მანელიუკის ორმაგი ჯარიმა ძვირად დაუჯდათ.

**სან ხოსე — ნეშვილი 3:1**

2:0 0:1 1:0

1:0 მატო 7'24 (1); 2:0 შტურმი 17'35 (6); 2:1 ჩელბერგი 20'48 (7); 3:1 მერფი 40'15 (6)

**ლოს ანჯელესი — აილენდერსი 4:5**

2:1 2:2 0:1 0:1

0:1 ბრიუერი 10'47 (2); 1:1 როზა 14'42 (1); 2:1 რობიტაილი 18'34 (15); 2:2 დონატო 27'42 (4); 3:2 დიუშენი 30'46 (2); 3:3 უოტი 35'27 (5); 4:3 როზა 36'18 (2); 4:4 რიხტერი 42'28 (3); 4:5 ბერარდი 62'00 (4)

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ბოსტონელ კრის ტეილორს (38) ოტაველი მცველი სამი სალო მაგრად დაუხვდა

# ზუტია პალფიმ თავისი გაიტანა



ზიგმუნდ პალფი

ხანგრძლივი, ხუთთვიანი მოლაპარაკების შემდეგ სეზონის ერთ-ერთმა მთავარმა მეამბოხემ ზიგმუნდ პალფიმ, როგორც იქნა, თავისი კლუბის მესვეურებთან შეთანხმებას მიაღწია.

ამდენი წარუმატებლობით შეწუხებულმა აილენდერსის გენერალურმა მენეჯერმა მაიკ მილბურიმ ლოს ანჯელესთან მატჩის წინ გადახედა პალფისადმი შეთავაზებულ კონტრაქტს (ერთ სეზონში საშუალოდ 4,3 მილიონ დოლარს აძლევდა), ცვლილებები შეიტანა და გარკვეულ დათმობაზე წავიდა, რაზეც ფორვარდი უმალ დათანხმდა.

ამრიგად, სლოვაკი ბომბარდირი, რომელსაც ბოლო სამ სეზონში 40 შაიბაზე მეტი გააქვს (ეს კიდევ მხოლოდ ოთხმა მოთამაშემ შეძლო), კიდევ ხუთი წლით დაუკავშირდა ნიუ იორკულ კლუბს. ამ ხნის განმავლობაში იგი 26 მილიონ დოლარს მიიღებს, ხოლო თუ კიდევ ერთ სეზონს ისურვებს აილენდესში დარჩენას, ამ თანხას 7 მილიონიც დაემატება.

როცა ყველაფერი დასრულდა, მილბერიმ გულახდილად განაცხადა, საქმის ასე იღბლიანად დასრულების იმედი აღარც მქონდაო და დიდი სიხარული გამოთქვა ყველასთვის სასიამოვნო ამბის გამო. პალფიმ კი, რომელიც მთელი ეს დრო სამშობლოში, სლოვაკეთში იმყოფებოდა, უკვე ნიუ იორკს მიაშურა და მალე, ალბათ, ყინულზეც ვიხილავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შარი შარისთავებთან მძიმე

ჯეფ ტარანგომ ჯონ მაკინროისგან მემკვიდრეობით კლასიფიკაციის პირველი ადგილი ან საჩოგბურთო გენია ვერ მიიღო, ძველი ჩემპიონისგან მან მხოლოდ სპორტის პირველი შარისთავის ტიტული გადაიბარა. თუმცა ამის ნაწილობრივ გამოსწორება ჯეფს მალე შეეძლება — მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მან კორტზე გამოიწვია.

„მე მაკინროის ვიწვევ იმის გამო, რომ განაცხადა, ახლანდელი პროფესიონალებიდან თითქმის ყველას მოვუგებო. ეს სასაცილო განცხადებაა და მზად ვარ, 200 ათასი დოლარი დავდო ამის დასამტკიცებლად" — კლასიფიკაციით 72-ე ტარანგომ ყოველივე თავისი კალიფორნიული სახლიდან ტელეფონით განუცხადა როიტერის სააგენტოს.

ტარანგო ალაშფოთა მაკინროის ნოემბერში „დეილი მეილისთვის" მიცემულმა ინტერვიუმ, სადაც ATP ტურელებისადმი საკმაოდ შეურაცხმყოფელი ტონით აღნიშნა, თუ თამაში წამივიდა, მათგან უმეტესობას ჩემთან გაჯიბრებას ვანანებო.

... დროს სუპერბუშად წოდებული 39 წლის მაკინროი დიდი სპორ... 1992 წელს წავიდა, თუმცა ასპარეზობას ვეტერანთა ლიგაში ა... აგრძელებს, წლეულს 296 ათასი დოლარიც მიითვალა, სულ ... მანძილზე საპრიზოებით 14 მილიონამდე დაეთვლება.

... არც 30 წლის ტა...ოს აკლია: ამ სეზონში მას 443 ათასი ... დაუგროვდა და მა...როის არ იყოს, ისიც დიდი შფოთისთაო... გამოირჩევა — 1995 წელს უიმბლდონზე მთავარ მსაჯს „მოსყი...ი ...ორი" და ათასი სხვა უმსგავსობა აკადრა, მერე კი ამ უკანას... მისმა მეუღლემაც შემოულაწუნა (ისე, მშვიდი ხასიათით არც მა...როის მეუღლე — მსახიობი ტატუმ ონილი გამოირჩევა).

ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ტარანგოს ხშირად ადარებენ ბებერ მაკს, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა თამაშით.

როიტერელები ზემოთქმულზე კომენტარის გასაკეთებლად თავად მაკინროის არ დაკავშირებიან, სამაგიეროდ ამ ცნობამ ჯონის მამა — ნიუ იორკში მდებარე თავის იურიდიულ ფირმაში მყოფი უფროსი ჯონ მა...როი მეტად გაახალისა: „ვფიქრობ ეს ყველაფერი ძალიან სასაცი...ოა. თუმცა მეორე მხრივ, ჯონმა შეიძლება ამაში 200 ათასის იოლ...ად გაკეთების შესაძლებლობა დაინახოს".

## გერმანია

XVIII ტური

**ფრაიბურგი 1:1 ბოხუმი**
1:0 ბეია (50), 1:1 შინდციერლორცი (90)

**დორტმუნდი 3:0 შტუტგარტი**
1:0 ჰერლიხი (38), 2:0 ბუტი (47), 3:0 სალუ (69)

II ბუნდესლიგა

XIX ტური

**ჰანოვერი 2:1 არმინია**
0:1 ლაბადია (1), 1:1 მორინასი (24), 2:1 ო. ადო (40)

**მაინცი 2:0 ვატენშაიდი**
1:0 დემანდტი (34), 2:0 ჰოკი (77)

**კოტბუსი 2:2 ბერლინი**
0:1 კოვაჩეჩი (33), 0:2 მიჩევსკი (57), 1:2, 2:2 ჰელბიგი (87, 90)

## ჰოლანდია

XIX ტური

**ჰერენვენი 1:1 მაასტრიხტი**
1:0 ელ ხატაბი (51), 1:1 ემერსონი (70)

## ბელგია

XIX ტური

**ლიერსი 1:1 გენკი**
0:1 ვან გეემი (41), 1:1 ვან მეერი (80)

## თურქეთი

XVII ტური

**ბურსასპორი 2:3 სამსუნსპორი**


REUTERS

„დორტმუნდი" — „შტუტგარტი". ტომას ბერტოლდმა ჰაიკო ჰერლიხს (ქვევით) გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა

# ოლიმპიური სულის დარბაზის პირველი რჩეული

REUTERS მიუნხენიდან



*კრივის ყოფილ მძიმეწონოსან მსოფლიოს ჩემპიონს, ლეგენდარულ მუჰამედ ალის (ფოტოზე მარცხნივ) სახელი, დიდება თუ ჯილდოები არასოდეს აკლდა, მაგრამ ამ დღეებში მიუნხენში მართლაც უნიკალური პრიზის მფლობელი გახდა — ახლად დაარსებულმა „ოლიმპიური სულის დარბაზმა" ყველა სახელიან სპორტსმენთაგან პირველი სწორედ ის გამოარჩია. პარკინსონით დაავადებული ამერიკელი სცენაზე გერმანელმა კოლეგა-ჩემპიონმა — კარლ მილტენბერგენმა (ცენტრში) და ჰენრი მასკემ აიცილეს, მერე კი დარბაზთან ერთად მხურვალე აპლოდისმენტებითაც დააჯილდოვეს.*

# ნორვეგიული სენდვიჩი ავსტრიელებს ყელზე ადგათ

ნორვეგიელმა სამთომოთხილამურემ ლასე კიუსმა (მარცხენა ფოტოზე) იტალიის სამთო კურორტ ლა გარდენაში სწრაფდაშვებაში 2.02.18 წუთი აჩვენა და ეტაპის გამარჯვებული გახდა. ამ გამარჯვებით ნორვეგიელი საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა. 27 წლის ლილეჰამერის ოლიმპიადის ჩემპიონმა წლევანდელ მსოფლიოს თასზე მეორედ იმარჯვა და კარიერაში 9 ეტაპის მომგები გახდა. აქედან ხუთჯერ ლასემ სწ...რედ სწრაფდაშვებაში იხეირა. მეორე-მესამე ადგილებზე ავსტრიელები ვერნერ ფრანცი (2.03.09) და ჰერმან მაიერი (2.03.41) გავიდნენ.

სამთომოთხილამურე ქალები კაცების დარად სწრაფდაშვებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ოღონდ შვეიცარიის მთიანეთის ვეიზონაში. აქ საუკეთესო 23 წლის გერმანელი, ნაგანოს ოლიმპიადის ჩემპიონი ჰილდე გერგი (მარჯვენა ფოტოზე) იყო, რომელმაც 1.41.13 წუთში ყველაზე სწაფად ჩაიქროლა ვეიზონის დაღმართები და ლასე კიუსივით წლეულს მეორე ეტაპი მოიგო. მსოფლიოს თასის ლიდერმა ავსტრიელმა ალექსანდრა მაიზინცერმა (1.41.92 წუთი) მეოთხე შედეგი აჩვენა.

**მსოფლიოს თასი.** საერთო ჩათვლა. კაცები: 1. ლასე კიუსი (ნორვეგია) — 413; 2. სტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 383; 3. კრისტიან მაიერი (ავსტრია) — 342; 4. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 340; 5. კეიტ ანდრე აამოდტი (ნორვეგია) — 324
ქალები: 1. ალექსანდრა მაიზინცერი (ავსტრია) — 675; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) — 398; 3. რენატა კოუხი (ავსტრია) — 362; 4. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) — 330; 5. ჰილდე გერგი (გერმანია) — 300

REUTERS ლა გარდენადან



REUTERS ვეიზონიდან




სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაჭურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29